ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

მალხაზ კობაური: „თოფი რომ მიკიდია მხარზე, ეგ სურათი მკვლელების გადაღებულია“ გვ.5



24 სექტემბრიდან

თენგიზ პაპუაშვილი

საინგილო

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




ხუთშაბათი, 26 სექტემბერი, 2019 №228 (8182) ფასი: 60 თეთრი

# დიდი განხეთქილება ოპოზიციაში

## რომან გოცირიძე: „ევროპულმა საქართველომ“ უაზრო და უადგილო კამათი წამოიწყო“



გვ.3

„ეს ამოსუნთქვის საშუალებას აძლევს ჩაძირვის პირას მყოფ „ოცნებას“

## ბექა ნაცვლიშვილი: „თამარ ალანიას მოსამართლეობა არ შეიძლება“



ლევან კობერიძე: „2020-ის არჩევნებში მოვლენ სხვა ძალები, რომლებიც აუცილებლად შეცვლიან ამ მახინჯ სისტემას და შეცვლიან ჩინჩალაძე-მურუსიძის გადმობარებას სასამართლო სისტემაში“



გვ.3

უზენაეს სასამართლოში კლანის მოსამართლეების ჩაბეტონება ხდება

## „ოცნება“ ზურაბიშვილს გადადგომის უფლებას არ მისცემს“

გვ.4



რამაზ საყვარელიძე: „შეწყალების საქმეები შეიძლება ომბუდსმენის ინსტიტუტს დაუქვემდებარონ“



გვ.5

## დიმიტრი გაბუნია ირმა ნადირაშვილის წინააღმდეგ სარჩელს შეიტანს

ირმა ნადირაშვილი: „გაბუნიას განცხადებებს სერიოზულად არ აღვიქვამ“



### სამართალი

გვ.5



მოსამართლე შოთა გეწაძე: „2011 წელს ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა კანონიერი იყო“



ანგი ხუციშვილი პროკურატურაში დაიბარეს

სუსმა „არგი-ჯგუფისა“ და „ქართულ-ამერიკული სამშენებლო კომპანიის“ დირექტორები დააკავა

გვ.5



ISSN 1987-9385

9 771987 938006

4 რუსეთი ოკუპირებული აფხაზეთის არმიის მოდერნიზებას იწყებს

2 სალომე ზურაბიშვილი: „ჩვენ უარი ვთქვით ძალის გამოყენებაზე, მაგრამ დიალოგზე არ გვითქვამს უარი“

5 საბერძნეთში ბავშვებით ვაჭრობისთვის 3 ქართველი ქალი დააკავეს

6 აშშ-ის კონგრესმა ტრამპის იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყო

# „ჩვენ უარი ვთქვით ძალის გამოყენებაზე, მაგრამ დიალოგზე არ გვითქვამს უარი“

## სალომე ზურაბიშვილი გაეროში სიტყვით გამოვიდა

– ჩემი გამოსვლით მსურს გავაფრთხილო მსოფლიო, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში აფხაზური ენა, რომელიც აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის მიერ და აფხაზური იდენტობა განადგურების ზღვარზეა, აფხაზი ერის დემოგრაფიული მდგომარეობა კატასტროფულად არის შემცირებული. აფხაზური ენის, იდენტობისა და ტრადიციების დაკარგვა სამყაროსათვის აღუვსებელი დანაკლისი იქნება.

ამ სიტყვებით გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი გაეროს გენერალური ასამბლეის 74-ე სესიაზე.

მან ასევე ისაუბრა იმ ადამიანების გაჭირვებაზე, რომლებიც ადმინისტრაციულ საზღვართან ცხოვრობენ. ცხოვრობენ იმ ზოლზე, რომელიც ნათესავებს ერთმანეთს აშორებს და სოფლებს ხლეჩს, სადაც უბედური შემთხვევები და პროვოკაციები ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, სადაც აქტიურად მიმდინარეობს საზღვრე-



ბის გადაწევა, რაც შეუძლებელს ქმნის ნორმალურ მშვიდობიან ცხოვრებას.

– ჩვენ ვასრულებთ გაცემულ პირობას და პატივს ვცემთ 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ფარგლებში აღებულ ვალდებულებებს; შესაბამისად, საოკუპაციო ხაზის მახლობლად არანაირი სამხედრო ძალები არ გვყავს განთავსებული.

აგრეთვე საქართველომ ცალმხრივად თქვა უარი ძალის გამოყენებაზე. ჩვენი პასუხი იყო გაწვდილი ხელი „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რაც საშუალებას აძლევს ოკუპირებული ტერიტორიების მოქალაქეებს (იმ შემთხვევებში, როდესაც მათ ხელს არ უშლიან და არ უკრძალავენ), ხელი მიუწვდებოდეთ ჯანდაცვისა და განათლების სისტემების შეღავათებზე, ისარგებლონ ბიზნესშესაძლებლობებით და მონაწილეობა მიიღონ, თუნდაც არაპირდაპირ, საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში, – განაცხადა პრეზიდენტმა.

მისი თქმით, ჩვენ გვჭირდება მოძრაობა და დიპლომატია.

– ჩვენ უარი ვთქვით ძალის გამოყენებაზე, მაგრამ დიალოგზე არ გვითქვამს უარი. ჩვენ მოქნილები ვართ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არსებულ მდგომარეობას ვურიგდებით. ცვლილებების განხორციელება არის საჭირო. და ამას მარტო ვერ შევძლებთ. ჩვენ ყველას ჩართულობა გვჭირდება რეგიონში მდგრადი მშვიდობის მიზნის მისაღწევად, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

საქართველო სერიოზულ მონაწილეობას იღებს ავღანეთში, მალისა თუ ცენტრალურ აფრიკაში განთავსებული სამშვიდობო ძალების ქმედებებში.

– ეს ქვეყნები შორსაა ჩვენი საზღვრებისგან, მაგრამ მათი პრობლემები ახლობელია ჩვენთვის მოვალეობის გრძნობიდან და სოლიდარობის პრინციპიდან გამომდინარე. ომი და კონფლიქტები ჩვენი ისტორიის ნაწილია, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, ნებისმიერი ფორუმი და დიალოგი, ფორმალური თუ არაფორმალური უნდა იყო გამოყენებული, რომ რუსეთი ჩაერთოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პირობების მკაცრად შესრულების შესახებ დისკუსიებში; რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას საშუალება მიეცეს, დაკვირვება განახორციელოს მთელ ტერიტორიაზე.

– დეესკალაცია საოკუპაციო ხაზზე ჩვენი უმთავრესი პრიორიტეტია, რამაც კონფლიქტის ეფექტურ მოგვარებამდე უნდა მიგვიყვანოს. ასევე ყველასთვის ნათელი უნდა იყოს, რომ ახალმა კონფლიქტებმა ძველი არ უნდა დაგვავიწყოს, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

სალომე ზურაბიშვილმა ქვეყანაში ძალაუფლების მშვიდობიანი გზით გადაცემის გზებსა და მის თანმდევ პროცესებზეც გაამახვილა ყურადღება.

– სრულად პროპორციული სისტემის დანერგვის შედეგად, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე შეიძლება კოალიციური მთავრობაც კი მივიღოთ.

უკვე 28 წელი გავიდა, რაც საქართველომ დემოკრატიული გზით განვითარებისაკენ გააკეთა არჩევანი. თანდათან საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან ჩვენ სრულ საპარლამენტო სისტემაზე გადავედით.

ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემის გზით ჩვენ უფრო და უფრო გამჭვირვალე და ღია საარჩევნო სისტემამდე მივედით, – განაცხადა პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა.

# ეკა ბესელია პროკურატურაში დაიბარეს



„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი ეკა ბესელია, რომელმაც უმრავლესობა დემარშით დატოვა, პროკურატურაში დაიბარეს.

საუბარია ბესელიას სკანდალურ განცხადებაზე, რომლის მიხედვითაც, უმრავლესობის ზოგ დეპუტატს პირადი ცხოვრების ამსახველი ფირებით აშანტაჟებენ.

პროკურატურაში ამბობენ, რომ საქმეზე გამოძიება დაიწყეს.

– საქართველოს პარლამენტის წევრი ეკა ბესელია, პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერებით სხვადასხვა პირების მიმართ ზეწოლისა და შანტაჟის შესახებ მის მიერ მედიაში გავრცელებულ განცხადებებთან დაკავშირებით, დაბარებულია საქართველოს გენერალურ პროკურატურაში.

დეპუტატს საგამოძიებო უწყებიდან გუშინ დაუკავშირდნენ, თუმცა მან განაცხადა, რომ მიმდინარე კვირის განმავლობაში პროკურატურაში ვერ გამოცხადდება.

ეკა ბესელიამ აღნიშნა, რომ საგამოძიებო უწყებაში მისვლის თარიღს პროკურატურას ორშაბათს თვითონ შეატყობინებს.

შესაბამისად, ამ ეტაპზე, საქართველოს პროკურატურა მოკლებულია შესაძლებლობას, პარლამენტის წევრისგან მიიღოს დამატებითი ინფორმაცია სხვადასხვა პირების მიმართ პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერებით შესაძლო ზეწოლისა და შანტაჟის შესახებ, – ნათქვამია განცხადებაში.

გუშინ, 25 სექტემბერს, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილე კახა საბანაძემ თქვა, რომ პირი, რომელმაც პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები მასობრივად გაავრცელა, პასუხისგებაშია მიცემული.

– როგორც ვიცი, ქალბატონი ეკა დაბარებულია პროკურატურაში და დაველოდოთ, როგორ განვითარდება პროცესები. რაც შეეხება კადრების გავრცელების საკითხს, კადრები ვინც პირველად ხელმისაწვდომი გახადა და მასობრივად გაავრცელა მასობრივი საინფორმაციო საშუალებებში, ის პირი მიცემულია პასუხისგებაში, – განაცხადა კახა საბანაძემ.

ეკა ბესელია ამ განცხადებას გუშინვე გამოეხმაურა.

– ეს არის ცრუ განცხადება, რომელიც მეორედ გაკეთდა, არავითარი პირველწყარო იდენტიფიცირებული არ არის და თუ ასეა, დაასახელოს მაშინ ბატონმა საბანაძემ. თუ ის გულისხმობს სომხეთის ციხეში მყოფ პატიმარს, რომელზეც იყო მინიშნება, რომ თითქოს ის არის პირველწყარო, ეს არის ტყუილი, რადგან იმ ადამიანმა ეს უკანონო ჩანაწერი ატვირთა 3 დღის შემდეგ, მას შემდეგ, რაც უკვე გავრცელებული იყო 27 იანვრიდან ეს უკანონო ჩანაწერი.

ეს ადამიანი არ არის პირველწყარო, ვისზეც საუბრობს მინისტრის მოადგილე. მივმართავ მას, გაასწოროს მისი მცდარი, შეცდომაში შემყვანი განცხადება ან დაასახელოს, თუ ამ რამდენიმე დღეში მოხდა რაიმე, მაგრამ გარწმუნებთ, არაფერი მომხდარა, თორემ მეცოდინებოდა, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

# ანრი ოხანაშვილი: „გუნდში უთანხმოების ნიშნებს ვერ ვხედავ“

– ვერ ვხედავ იმის საფუძველს, რომ ვიფიქრო – გუნდში რაიმე უთანხმოების ნიშნები არსებობს.

ამის შესახებ იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესებზე საუბრისას ჟურნალისტებთან განაცხადა.

მისივე თქმით, პროცესი, რომელიც კანდიდატებს უკავშირდება, ღიად და მაღალი ლეგიტიმურობით მიმდინარეობს და ამასთან დაკავშირებით შენიშვნა ოპოზიციურ პარტიებსაც არ აქვთ. რაც შეეხება კონკრეტული კანდიდატების მხარდაჭერას, გადაწყვეტილების მიღებამდე გუნდი ამაზე იმსჯელებს.

– მე ვერ ვხვდები, რატომ უნდა იყოს ეს გუნდში განხეთქილების საფუძველი მარტივი მიზეზის გამო – ჩვენი პირველი ამოცანა, რასაც საზოგადოებას დავპირდით და ვასრულებთ, არის პროცესის მაქსიმალური გახსნილობა.

თქვენ ხედავთ, რომ დაახლოებით 10 საათის განმავლობაში მიმდინარეობს 1 კანდიდატის მოსმენა და ჩვენს საზოგადოებას აქვს საშუალება მიადევნოს ამ პროცესს თვალი. ამ პროცესის ლეგიტიმაცია ხდება იმით, რომ კი არ ვჩქარობთ, არამედ დინჯად, თავშეკავებით, გახსნილად მიდის პროცესი. ამასთან მიმართებით არანაირი შენიშვნა არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით ერთ-ორ გამოსვლას, აბსოლუტურად უარგუმენტოს.

ამაზე კონსენსუსი ოპოზიციურ პარტიებთან არის მიღწეული. თუკი პროცესი კითხვის ნიშნებს არ აჩენს, მაშინ რა უნდა გახდეს უთანხმოების საფუძველი? ნებისმიერი ჩვენგანი მივიღებთ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ჩვენთვის იქნება სწორი, – აღნიშნა დეპუტატმა ოხანაშვილმა.

მისი აზრით, გუნდში იქნება მსჯელობა.

– თუ ვინმეს არ ენდომება რა-



ღაც გადაწყვეტილების მიღება, ეს იქნება მასზე დამოკიდებული. შესაბამისად, იმის საფუძველი, რომ ვიფიქრო, რაიმე უთანხმოების ნიშნები გვაქვს გუნდში, ამის ნიშანს და საფუძველს ვერ ვხედავ. მე მესმის, ზოგიერთ პირს, რომლებიც გუნდში ადრე იყვნენ, სურთ შექმნან ამის ილუზია, – განაცხადა ანრი ოხანაშვილმა.

ის ამბობს, რომ როცა ხარ გუნდში, გუნდს აქვს თავისი თამაშის წესები.

– თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საკუთარი დამოკიდებულება, შეფასება არ გაქვს ან ვინმე ამის უფლებას არ გაძლევს, – განაცხადა მან.

დეპუტატის თქმით, მათ ყოველთვის მოუსმენიათ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით გუნდის წევრების არგუმენტები.

– როცა გუნდზეა საუბარი, არის შიდა გუნდური გადაწყვეტილებები, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვინმეს ეკრძალება საკუთარი აზრის გამოხატვა.

ძალიან დემოკრატიულად, ერთმანეთის პატივისცემით ყველა აფიქსირებს საკუთარ არჩევანს, გადაწყვეტილებას, თუმცა ამ ყველაფერს ახლავს ხოლმე შეკითხვაც, რა არგუმენტზე დაყრდნობით ამბობს ერთი ადამიანი განსხვავებულ პოზიციას, – დასძინა ანრი ოხანაშვილმა.

# „2018 წელს ივანიშვილმა ბიზნესს რეკეტი მოუწყო“

## რა გარიგება დაიდო ფინანსთა მინისტრის კაბინეტში

ბიძინა ივანიშვილმა ბიზნესს რეკეტი მოუწყო და 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ აიძულა ბანკები, რომ პრობლემური სესხები „ქართუ ბანკისთვის“ სიმბოლურ ფასად მიეყიდა.

თიბისი ბანკის ერთ-ერთი მფლობელი მამუკა ხაზარაძე „მთავარ არხთან“ იხსენებს, თუ როგორ მოახვიეს საბანკო სფეროს თავს სესხების განულების პროგრამა.

„ლელოს“ დამფუძნებელმა „მთავარ არხთან“ განაცხადა, რომ სესხების განულების პროგრამა ბანკებისთვის კომერციული თვალსაზრისით არასახარბიელო იყო და მათ მიზერულ ფასად მოუწიათ პრობლემური პორტფე-



ლის დათმობა „ქართუ“ ფონდის სასარგებლოდ.

მამუკა ხაზარაძის განცხადებით, სესხების ჩამოწერაზე ბანკების დათანხმება მოხდა ფინანსთა მინისტრის კაბინეტში და ეს ყველაფერი ხდებოდა სახელმწიფო სტრუქტურების აქტიური ჩარევისა და ზეწოლის ქვეშ.

– როცა 120 მილიონს ცვლი 3 მილიონში და პრაქტიკულად გაიძულებენ, რომ ეს გაკეთდეს და ეს გარიგება ხდება ფინანსთა მინისტრის კაბინეტში, პრაქტიკულად შეღავათს აკეთებს ბანკი და არა რომელიღაც ფონდი. უბრალოდ, სხვა არჩევანს არ გიტოვებენ. პრაქტიკულად, სახელმწიფო სტრუქტურების პრივატიზაციაა გაკეთებული, – თქვა მამუკა ხაზარაძემ.

არჩევნების წინ პრობლემური სესხების ჩამოწერა საერთაშორისო და ადგილობრივმა დამკვირვებელმა შეაფასა, როგორც ამომრჩევლის მოსყიდვის მცდელობა.

# ელენე ხოშტარია ციხეში ოქრუაშვილის მძღოლს შეხვდა



## „დეტალურად მითხრა, როგორ ჩაუდეს მას იარაღი“

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა ელენე ხოშტარიამ გლდანის ნომერ მერვე პენიტენციურ დაწესებულებაში 20 ივნისის აქციის საქმეზე დაკავებულები მოინახულა.

პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდეგ ელენე ხოშტარიამ ჟურნალისტებს უთხრა, რომ მან 10 პატიმარი მოინახულა.

დეპუტატის თქმით, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და პირობების თვალსაზრისით პრობლემა არ არის.

– ციხეში პირობების თვალსაზრისით არანაირი პრობლემა არ არის, პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობაც ნორმალურია, თუმცა არის უსამართლობის განცდა, გაუგებარია, თუ რატომ ტოვებს სასამართლო მათ სასჯელის ქვეშ, – განაცხადა ელენე ხოშტარიამ.

მისივე თქმით, იგი, „გავრილოვის პატიმრების“ გარდა, ასევე შეხვდა ირაკლი ოქრუაშვილის მძღოლ კობა კოშაძეს.

– ასევე შევხვდი ირაკლი ოქრუაშვილის მძღოლ კობა კოშაძეს, რომელიც ასევე პოლიტიკური ნიშნით არის დაკავებული, პირდაპირ დეტალებში აღმიწერა, როგორ ჩაუდეს იარაღი. ეს ყველაფერი კი ქვეყნისთვის დიდი პრობლემაა, რადგან კიდევ გრძელდება მოქალაქეების უსამართლოდ დაკავება, – აღნიშნა დეპუტატმა.

მან ხაზი გაუსვა 20 ივნისის აქციის საქმეზე დაკავებული ლევან ჯიქურის მდგომარეობას და აღნიშნა, რომ მას არ შეხვედრია, რადგან ის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანილი.

რაც შეეხება ბესიკ თამლიანს, დეპუტატის თქმით, მისი მდგომარეობა ნორმალურია.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რომან გოცირიძე: „ევროპულმა საქართველომ“ უაზრო და უადგილო კამათი წამოიწყო“

## „ეს ამოსუნთქვის საშუალებას აძლევს ჩაძირვის პირას მყოფ „ოცნებას“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე პასუხობს.**

***– ბატონო რომან, სერიოზული დაპირისპირებაა თქვენსა და „ევროპულ საქართველოს“ შორის. რაზე ვერ თანხმდებით, რას ვერ იყოფთ?***

– სრულიად უაზროდ და უადგილოდ არის წამოწყებული კამათი იმის თაობაზე, თუ მომავალში ოპოზიციური კოალიცია როგორ სახეს მიიღებს. თითქოს იყო კონსენსუსი, არც ერთი პროდასავლური პარტია არ შეუქმნიდა საპარლამენტო უმრავლესობას „ქართულ ოცნებას“ და, შესაბამისად, არ მისცემდა საშუალებას, რომ ჩამოეყალიბებინა მთავრობა და დარჩენილიყო ხელისუფლებაში.

აი, ეს არის მთავარი მოთხოვნა ყველა პარტიისადმი. ნებისმიერ პარტიას, ძველი პარტია იქნება თუ ახლად დაფუძნებული, როდესაც წარდგება ამომრჩევლის წინაშე, ამ შეკითხვაზე მოუწევს ძალიან ნათელი პასუხის გაცემა.

***– რა პასუხის?***

– არა ისე, რომ მე არც „ქართულ ოცნებას“ ვაძლევ ხმას და არც ნაციონალურ მოძრაობას, მაშინ სად მიდის ეს შენი ხმები? იკარგება! თუ ორივე მხარემ მიიღო თანაბარი რაოდენობის ხმები? აქეთ ნაციონალურ მოძრაობასთან გაერთიანებულმა ევროპულმა პარტიებმა და იქით პრორუსულმა პარტიებმა და „ოცნების“ სატელიტმა პარტიებმა? ამ შემთხვევაში სატელიტი ძალიან რბილი სიტყვაა! ასე ჯობს – „ქართული ოცნების“ არაფორმალურმა ნაწილმა.

დავუშვათ, მიიღეს თანაბარი ხმები და მესამე პარტია, რომელიც ამბობს, მე არც ერთს ვაძლევ ხმას და არც მეორესო, მაშინ სადა არის?! ასე რომ, ასე არ გამოვა!

***– ანუ ორ პოლუსად უნდა გაიყოს პოლიტიკური ველი?***

– ყველაფერი ძალიან მარტივად არის: ერთ მხარეს იქნება ნაციონალური მოძრაობა და სხვა პროდასავლური პარტიები – ლეიბორისტებიც, „ევროპული საქართველოც“, რესპუბლიკელებიც. ყველა საარჩევნო სუბიექტს მოუწევს დადგომა ან აქეთ, ან იქით.

იმ პარტიებს, ვინც იპრანჭება, კეკლუცობის რესურსები ექნება მცირე ხნის განმავლობაში, ვინაიდან, როცა საარჩევნო კამპანია დაიწყება, ამომრჩეველი ერთმნიშვნელოვნად ჰკითხავს, საბოლოო ჯამში, სად ჩადებს ის იმ ხმებს, რომლებიც შექმნის ახალ მთავრობას.

***– „ევროპულ საქართველოს“ განსხვავებული ხედვა აქვს ამ ყველაფერზე.***

– „ევროპულ საქართველოს“ ახალი იდეა რამდენიმე დღის წინ გაუჩნდა. ამ პარტიაში ფიქრობენ, რომ ოპოზიციურ ფლანგში იქნება ორი მხარე – ერთი, რომელიც გაერთიანდება ნაციონალური მოძრაობის ირგვლივ და მეორე, რომელიც „ევროპული საქართველოს“ ირგვლივ გაერთიანდება და რომელ მხარესაც იქნება უფრო მეტი ხმები, მან დააკომპლექტოს მთავრობა და კარტბლანში მიეცეს იმ მხარეს.

***– არ იზიარებთ ამ იდეას?***

– არა მგონია, ეს იყოს სერიოზული მსჯელობა, იმის გამო, რომ ყველა საარჩევნო შედეგმა, სტატისტიკამ, ამ საპრეზიდენტო არჩევნებმა, გამოკითხვებმა და ასე შემდეგ, ძალიან კარგად აჩვენა, რომ მთავარი ოპოზიციური პარტია არის ნაციონალური მოძრაობა და მასთან ერთად კოალიციაში მყოფი პარტიები უალტერნატივოდ იქნებიან პროევროპულ ფლანგზე უფრო მოწინავე პოზიციებზე და სწორედ ამ პოლიტიკური კოალიციის ირგვლივ მოხდება შემდეგ აშენება ახალი ხელისუფლების.

***– გამოდის, რომ ოპოზიციაშიც ყველას პირველობა უნდა, პოზიციებს არავინ თმობს და ერთმანეთს უპირისპირდებით.***

– ნაციონალური მოძრაობა არის მთავარი ოპოზიციური პარტია. დღეს ამის შესახებ რაღაცა ინტელექტუალური თუ სხვა სახის დებატების წამოწყება არ აძლიერებს ოპოზიციას, პირიქით.

***– ბატონო რომან, ზედმეტად ხომ არ დაგაზარალებთ ეს დაპირისპირება?***

– ეს პროცესი, რაც ახლა მიმდინარეობს, ოპოზიციას წარმოაჩენს იმ მონადირედ, რომელიც უკვე ინაწილებს ჯერ მოუკვლელი დათვის ტყავს და უნდა ამ ტყავში საკუთარი დიდი ნაწილის ჩამოჭრა.

საბოლოოდ, ეს წყალს ასხამს ხელისუფლების წისქვილზე. ყველა უსაგნო კამათი ოპოზიციურ ფლანგზე ამოსუნთქვის საშუალებას აძლევს „ქართულ ოცნებას“.

***– სწორედ ამას გეკითხებით, ანუ აზარალებს ეს პროცესი ოპოზიციას?***

– კი, რა თქმა უნდა! აზარალებს ოპოზიციას და ამოსუნთქვის საშუალებას აძლევს ჩაძირვის პირას მყოფ ხელისუფლებას, ვინაიდან მისი მდგომარეობა არის ურთულესი. ნაცვლად იმისა, რომ წიხლი მივაყოლოთ, ხანდახან ასეთი შეცდომებიც ხდება ოპოზიციურ ფლანგზე, რომ ბალიშს დავუდებთ ხოლმე.

ეს კინკლაობა ძალიან უაზროდ იქნა წამოწყებული ამ დღეებში.

***– მაშინ რამ გამოიწვია ეს კამათი? ზედმეტი ამბიციები აქვს „ევროპულ საქართველოს?“***

– ალბათ იმან, რომ „ევროპულ საქართველოს“ უნდა, თავის ამომრჩეველს აჩვენოს, რომ ის არ არის ნაციონალური მოძრაობის სატელიტი, მისი უმცროსი ძმა. ვინაიდან ჩვენ ერთი ელექტორატი გვყავდა, დღეს მათ უნდათ თავის ამომრჩეველს, რომელიც მათ ჰყავთ, დაუმტკიცონ, რომ ისინი არ არიან ნაციონალური მოძრაობა.

***– დღემდე აღიქმება, რომ თქვენ ერთნი ხართ.***

– დიახ, ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ მოხდა ტექნიკური გაყოფა და ერთი და იგივე პარტიის ორი მხარე მივიღეთ. ანუ „ევროპულ საქართველოს“ აქვს თვითიდენტიფიკაციის პრობლემა და ფიქრობს, რომ რაც უფრო მეტად დაუპირისპირდება ნაციონალურ მოძრაობას, რაც უფრო მეტად გალანძღავს მიხეილ სააკაშვილს, მით უფრო მეტად აჩვენებს ვილაცას, რომ ის არის სხვა.

თუ ეს ამოცანა მათ წინაშე მართლაც დგას და ამ მიზნის მისაღწევად მათ რაღაც ნაბიჯები დაისახეს, გამოდის, რომ ეს არის ძალიან მძიმე ამოცანა. როგორც ჩანს, გარდა კონტრასტის სახით წარმოჩენისა, რომლის მთავარი ინსტრუმენტი არის ლანძღვა, მათ სხვა მექანიზმი არ დარჩენიათ.

ეს ძალიან კონტრპროდუქტიულია, იმიტომ, რომ ამომრჩევლის მოთხოვნა დღეს „ქართული ოცნების“ დამარცხება და ოპოზიციის კონსოლიდაციაა. ხოლო ვინც ოპოზიციურ ერთიანობაში შეიტანს წინააღმდეგობას, ის ამომრჩევლის მხრიდან იქნება შერისხული. ამიტომ, თუ მათ რაღაც ფორმით ნაციონალური მოძრაობისგან გამიჯვნა და საკუთარი პროფილის გამოძერწვა სურთ...

***– ჯერ არ აქვთ საკუთარი პროფილი?***

– რაც ნაცმოძრაობას გამოეყვნენ, ეს ნამდვილად ვერ მოახერხეს. თუ ასე სურთ, მათ უნდა იფიქრონ სხვა მეთოდებზე, რომლებიც ნაკლებად



დამაზიანებელი იქნება მთლიანად ოპოზიციისთვის და ნაკლებად დამაზიანებელი იქნება მათთვისაც. ეს გზა, რომელიც ახლა აირჩიეს, აშკარად არის ცუდი და, პირველ რიგში, მათთვის.

***– ბატონო რომან, რომ შევჯერდეთ – თქვენ თვლით, რომ ვინც არ იქნება ნაციონალური მოძრაობის გვერდით, თქვენს კოალიციაში, ის „ოცნების“ წისქვილზე დაასხამს წყალს?***

– რა თქმა უნდა, ასეა. არც ერთგან ვიქნები და არც მეორეგან – ახლა ეს არ იმუშავებს.

ხაზარაძესაც, უსუფაშვილსაც, ელისაშვილსაც, „ქართული ოცნებიდან“ გამოყოფილ ჯგუფებსაც, ყველას მოუწევთ თქმა, დაუბრუნდებიან „ოცნებას“ თუ იქნებიან დიდ კოალიციაში.

დიდ კოალიციაში ყოფნა არ ნიშნავს, რომ იქნებიან ნაციონალურ მოძრაობასთან. თუნდაც ავიღოთ უსუფაშვილის ფორმირება, კი ბატონო, თავმდაბლად ვიტყვი, რომ ნაციონალური მოძრაობა იქნება მასთან ერთად დიდ კოალიციაში, თუ თავად ეუხერხულებათ ჩვენთან მოსვლა. თუ ავიღებთ ნაძვის ხეს, იქ ხომ ღერძია მთავარი!

***– ანუ თქვენ ხართ ოპოზიციური ღერძი?***

– გეტყვით, ნუ უსწრებთ მოვლენებს. ღერძია მთავარი, შემდეგ მოდის მძლავრი ტოტები და შემდეგ პატარ-პატარა ტოტები. ამ ღერძის კონსტრუქციის წარმოდგენა თუ არ უნდათ, კი ბატონო, ჰორიზონტალური რაღაც სხვა მოდელი ვიფიქროთ.

***– რა არის ეს სხვა მოდელი?***

– ნაციონალური მოძრაობა იქნება მათთან ერთად, რომლებიც არიან მასზე პატარები, მაგრამ მისი მსგავსი ინტერესები ამოძრავებთ. ჩვენთან კი ნუ მოვლენ, ჩვენ მივალთ მათთან! ჩვენ მთა ვართ, ისინი მუჰამედები იყვნენ. თუ მთასთან მოსვლა არ უნდათ, მაშინ მთა მივა მუჰამედთან!

# ბექა ნაცვლიშვილი: „თამარ ალანიას მოსამართლეობა არ შეიძლება“

## უზენაეს სასამართლოში კლანის მოსამართლეების ჩაბეტონება ხდება

იაგო ნაცვლიშვილი

საქართველოს პარლამენტში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს უსმენენ. ოპოზიცია და საზოგადოების უდიდესი ნაწილი პროცესს ნეგატიურად უყურებს და ფაქტს „ქართული ოცნებისა“ და სასამართლო კლანის გარიგებას უწოდებს.

დამოუკიდებელი დეპუტატი **ლევან კობერიძე** ყველა კანდიდატის ჩაგდების ინიციატივით გამოდის.

რა გამოხმაურება მოჰყვა კობერიძის იდეას კოლეგების მხრიდან, როგორ უყურებს პროცესს და რა განწყობაა უმრავლესობაში? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე ამ თემის ირგვლივ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატები ლევან კობერიძე და ბექა ნაცვლიშვილი საუბრობენ.

ლევან კობერიძე პროცესს ფასადურს უწოდებს და ელოდება, რომ ფსევდოდემოკრატიის პროცესი განხორციელდება და შესაძლოა, რამდენიმე კანდიდატი ჩააგდონ პროცესის შენიღბვის მიზნით:

***– რა გამოხმაურება მოჰყვა თქვენს იდეას უზენაესის ყველა კანდიდატის ჩაგდების თაობაზე? რა განწყობა აქვთ თქვენს კოლეგებს?***

– ჩემს ინიციატივასთან დაკავშირებით რამდენიმე ჩემს კოლეგას მის გახმაურებამდე გავუზიარე ჩემი ეს იდეა და მათ აქვთ გარკვეული დადებითი დამოკიდებულება ამ საკითხზე.

***– დააზუსტეთ, ეს კოლეგები მათ შორის უმრავლესობიდანაც არიან?***

– არა, უმრავლესობიდან არ არიან. თუმცა, ჩემი კოლეგები, ვისაც ეს იდეა გავუზიარე, საუბრობენ ძირითადად იმაზე, რომ შეხედავენ, მოუსმენენ, კარგად შეისწავლიან თითოეულ მათგანს და მერე მიიღებენ გადაწყვეტილებას. თუმცა, რახან მკითხეთ, ვიტყვი იმასაც, უმრავლესობაში რაღაც განსაკუთრებული ინტერესი რომ იყოს, ამას ვერ ვამჩნევ.

უმრავლესობაში 100-ზე მეტი წევრია და განხილვებს რომ ესწრებოდნენ სრულად, კითხვებს უსვამდნენ მოსამართლეობის კანდიდატებს და აქტიურად იყვნენ ჩართულები, ამას ვერ ვხედავ. ელემენტარულად, მერე როგორ მოასწრებენ ამას, ეს მე არ ვიცი, რომ მიიღონ სრული ინფორმაცია. თუმცა, ალბათ აქვთ მოსაზრება, რომ აზრი ჩამოიყალიბონ თითოეულ მათგანთან დაკავშირებით.

უმრავლესობაშიც არიან ისეთი დეპუტატები, რომლებიც ყურადღებით უსმენენ, აკვირდებიან, კითხვებსაც სვამენ და დიდი იმედი მაქვს, რომ თვითონაც ხედავენ ისინი, რომ მოსამართლეობის კანდიდატები არაშესაფერისები არიან უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისთვის. ეს არის ერთი ნაწილი ამ პროცესის, უფრო მნიშვნელოვანი არის ის, რომ ეს არის ფასადური პროცესი. სავარაუდოდ, უმრავლესობას გადაწყვეტილება მიღებული აქვთ სხვა შეხვედრებზე და შეთანხმებულები არიან კლანთან, რომელსაც მე სააკაშვილ-ადეიშვილ-ჩინჩალაძის კლანს ვუწოდებდი. მასთან გარიგებულები არიან, მაგრამ ალბათ ყველა არა და მათ ნელ-ნელა გააგებინებენ, ვის უნდა მისცენ ხმა და ვის – არა.



**ლევან კობერიძე: „2020-ის არჩევნებში მოვლენ სხვა ძალები, რომლებიც აუცილებლად შეცვლიან ამ მახინჯ სისტემას და შეცვლიან ჩინჩალაძე-მურუსიძის გადმობარებას სასამართლო სისტემაში“**

***– დირექტივას მიიღებენ?***

– ჩემი აზრით, იქნება დირექტივაც, თხოვნაც, იქნება მოწოდებაც. მგონია, რომ აქეთკენ მიდის მთელი ეს პროცესი. ამიტომ ვამბობ, რომ ეს არის ფსევდოპროცესი და ეს არის ფასადური პროცესი.

პარლამენტს ახლა, ამ განხილვებისა და შემდეგ უკვე კენჭისყრის დროს აქვს ისტორიული შანსი, რომ რა დაპირებაც ჯერ კიდევ 2012 წელს იყო, ის დაპირება იყოს შესრულებული. დაპირება, რის გამოც აირჩია მოსახლეობამ მნიშვნელოვანწილად. ეს იყო ის, რომ სამართლიანობა აღმდგარიყო ქვეყანაში და ეს უნდა დაწყებულიყო სამართლიანი სასამართლოს მშენებლობით.

2012 წელს ასეთი განცხადებები კეთდებოდა, თუნდაც იგივე თეა წულუკიანის მხრიდან, რომელიც ამბობდა, რომ ცერცვაძე-ჩინჩალაძეების და მეიშვილის კლანისგან უნდა გათავისუფლებულიყო სასამართლო. ეს იყო „ოცნების“ პოზიცია მაშინ და ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი. ეს პოზიცია ეკავა „ოცნებას“ 2012 წელს, რაზეც ახლა მე ვსაუბრობ. შემდგომში ნელ-ნელა აღმოჩნდა, რომ მურუსიძე კარგი მოსამართლე აღმოჩნდა და მოხდა ისე, რომ თურმე გირგვლიანის საქმეზე შეტრიალება მოხდა – ცუდები კარგები გახდნენ და კარგები ცუდები. მურუსიძე-ჩინჩალაძეები კარგები გახდნენ, ხოლო ის ადამიანები, ვინც მაშინ ღირსება იცავდნენ, ცუდები.

***– საუბრობთ ფასადურ პროცესზე და ესაუბრებით კოლეგებს, მათ შორის უმრავლესობიდანაც. ხომ არ გაქვთ განწყობა, რომ შესაძლოა მოსამართლეების თემა უმრავლესობაში მორიგი განხეთქილების საბაბი გახდეს? გამომდინარე იქიდან, რომ რეალურად აქედან დაიწყო განხეთქილება მმართველ გუნდში?***

– მე ასეთი განწყობა აღარ მაქვს. მე „ქართული ოცნებიდან“ წამოვედი სწორედ ამ საკითხის გამო. გვქონდა შიდა განხილვები, სადაც მე ვაფიქსირებდი კრიტიკულ მოსაზრებებს ამ თემაზე. იმასაც არ ვმალავდი და მათ შორის პარტიის თავმჯდომარის მონაწილეობით როცა იყო შეხვედრები, ვამბობდი, რომ მე ამ საკითხში ვიქნებოდი წინააღმდეგი და ვამბობდი, რომ ამას გარეთაც დავაფიქსირებდი კენჭისყრების დროს.

გახსოვთ კანონპროექტი, რომლის მიღების წინააღმდეგიც ვიყავი და სწორედ მისმა მიღებამ დააკანონა ის პროცესი, რაც ახლა მიდის. ამის მიღების გამო დავტოვე უმრავლესობა, რამაც ეს ფასადური ფსევდოპროცესი კანონიერი გახადა. აქ არის პარლამენტის ყველაზე დიდი დანაშაული. იმიტომ, რომ მან ამ კანონის მიღებით ხელი შეუწყო არასამართლიანი და კლანური სასამართლოს სამართლებრივი გზებით კანონის მიერ დაკანონებას. ეს არის ყველაზე დიდი დანაშაული.

***– უმრავლესობის რამდენიმე დეპუტატისგან მოვისმინეთ კრიტიკა. აქედან გამომდინარე ხომ არ ელოდებით, რომ შესაძლოა რამდენიმე კანდიდატი ჩააგდონ და გვითხრან, რომ აი, როგორი დემოკრატიულები ვართ, ყველას კი არ დავუჭირეთ მხარი, რამდენიმე ჩავაგდეთო?***

– ზუსტად მაგ პოზიციაზე ვარ, რომ ასე იქნება. იმიტომ არ ველოდები, რომ უმრავლესობას დატოვებენ სხვა წევრებიც, რომ ძალიან ჭკვიანურად და ეშმაკურად დაალაგეს შიგნით სიტუაცია „ოცნების“ ლიდერებმა. შესაძლოა ცალკეულმა დეპუტატებმა არ დაუჭირონ მხარი. მაგალითად, კობალაძე ალანიას ხმას არასდროს მისცემს მუხროვანის საქმიდან გამომდინარე. ვილაცა კიდევ სხვას და ა. შ. ანუ ცალკეული დეპუტატები ცალკეულ მოსამართლეებს არ დაუჭერენ მხარს, იტყვიან, რომ ვისაც გინდათ, მიეცით ხმა, ვისაც გინდათ – არა, მაგრამ 76 დეპუტატი, რომელთაც კონკრეტული მოსამართლე უნდა გაიყვანონ, ნამდვილად იქნება მოძებნილი. ვისზეც არის შეთანხმება კლანისა და „ქართული ოცნების“ მხრიდან, ალბათ თავთავიანთი კანდიდატები შეაგროვეს.

მე არ ვფიქრობ, რომ ოცივეს დაამტკიცებენ. ალბათ იქნება 10 ან ცოტა მეტი, ან ნაკლები. შექმნიან დემოკრატიულ ფასადს. ამიტომ ვამბობ, რომ არ მაქვს განცდა მორიგი შიდა განხეთქილების. იმიტომ, რომ ვისაც პრინციპული პოზიცია ჰქონდა ამ თემაზე, ის უკვე წამოსულია. მე ვთვლი, რომ ეს ქვეყნისთვის დანაშაულია. ეს პროცესი იქნება თავის მოტყუებისა და თვის გამართლების საშუალება, რომ აი, მე ვისაც არ მინდოდა, ხომ არ მივეცი ხმა. მთლიანობაში პროცესი დასრულდება ამ კლანისა და „ქართული ოცნების“ შეთანხმებული კანდიდატების ჩაბეტონებით სასამართლო სისტემაში.

2020 წლის არჩევნების შემდეგ აუცილებლად იქნება შესაცვლელი და დარწმუნებული ვარ, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში დადგება, თუმცა იმ კანონების საშუალებით, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო, ეს გაცილებით მეტ სირთულესთან იქნება დაკავშირებული. მაგრამ, პირობას გაძლევთ, რომ 2020-ის არჩევნებში მოვლენ სხვა ძალები, რომლებიც აუცილებლად შეცვლიან ამ მახინჯ სისტემას და შეცვლიან ჩინჩალაძე-მურუსიძის გადმობარებას სასამართლო სისტემაში.

ამიტომ, უმრავლესობიდან დიდ აჟიოტაჟს არ ველოდები. იქნებიან კრიტიკულები, ხედავთ, როგორი მწვავე განცხადებები გაკეთდა მოსამართლე გეწაძესთან მიმართებით, რომელმაც ივანიშვილს მოქალაქეობა ჩამოართვა 2012-ში, იგივე იყო ალანიასთან მიმართებით. იქნება ასეთი პროცესი, მაგრამ ეს იქნება საზოგადოებისთვის თვალის ახვევა.

რეალური პასუხისმგებლობა თუ გვინდა პარლამენტში, მან უნდა ჩააგდოს ყველა კანდიდატი და საკონსტიტუციო ცვლილებებით, ან კანონში შე-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „ოცნება“ ზურაბიშვილს გადადგომის უფლებას არ მისცემს“

## რამაზ საყვარელიძე: „შეწყალების საქმეები შეიძლება ომბუდსმენის ინსტიტუტს დაუქვემდებარონ“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***– ბატონო რამაზ, შეწყალების სკანდალი წინასაარჩევნოდ როგორ იმოქმედებს „ქართულ ოცნებაზე“, მის იმიჯზე და მოვლენათა როგორ განვითარებას ელოდებით?***

– სალომე ზურაბიშვილი გახდა თუ არა პრეზიდენტი, პირველი რაც თქვა, იყო ის, რომ შეწყალების საკითხი მომაშორეთო. ამ საკითხის მიმართ ინტერესი არ აქვს. მისი ძირითადი ინტერესი საგარეო ურთიერთობებია და ეს ღიად ჩანს. მეეჭვება, სალომე ზურაბიშვილი რომ არ ყოფილიყო საქართველოს პრეზიდენტი, გაეროში სხვისთვის სიტყვა მიეცათ.

გრიგოლ ვაშაძე რომ ყოფილიყო საქართველოს პრეზიდენტი, მე მეეჭვება, რომ ის მიეწვიათ გაეროს ტრიბუნაზე.

როგორც ჩანს, სალომე ზურაბიშვილის მთავარი მიზანი პრეზიდენტის რანგში სწორედ ეს არის, რომ საგარეო მიმართულებით იმუშაოს და შედეგი დადოს. ამიტომ შეწყალების აქტის გამოცემა და ამ საკითხში გარკვევა მისთვის რთული იქნებოდა, ეს ეტყობოდა კიდეც, ამიტომ გადაწყვიტა თავის დროზე დისტანცირება.

***– ხომ არ ფიქრობთ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დისტანცირება დაიწყო ზურაბიშვილისგან, როგორც თავის დროზე მარგველაშვილისგან?***

– მარგველაშვილთან კონფლიქტი პრეზიდენტის სასახლეში შესვლის საკითხით დაიწყო. რაც შეეხება შეწყალებას, უმრავლესობას არც ისე მწვავე რეაქცია ჰქონდა. კი აკრიტიკებდა, მაგრამ როგორც ახლა, ასეთი არ ყოფილა. ამდენად, სწორხაზოვანი პარალელის გავლება მაინც რთული იქნებოდა.

***– მაშინ რასთან გვაქვს საქმე?***

– დღეს „ქართული ოცნება“ საზოგადოების კრიტიკას უწევს ანგარიშს. ურჩევნია, თვითონაც მკაცრი იყოს ზურაბიშვილის მიმართ, ისევე მკაცრი, როგორც საზოგადოებაა და ეს ფაქტია. ეს ნაწილობრივ მოახლოებულ არჩევნებთან არის დაკავშირებული. „ქართული ოცნებისთვის“ სხვა სტრატეგია წამგებიანი იქნებოდა.

მეორე მხრივ, „ქართული ოცნებისთვის“ ასევე წამგებიანია პოზიციების დათმობა, რომ სალომე ზურაბიშვილი იმდენად შერისხონ, რომ მიუღებლად გამოაცხადონ. მაშინ გამოვა, რომ ისინი თავიანთ თავს ეწინააღმდეგებიან. ამიტომ მათ ლავირება უწევთ.

„ოცნება“ ეცდება, სრულიად სამართლიანად გაჩენილი უკმაყოფილება გადაიტანოს იმ კალაპოტში, რომელშიც იქნება დამცავი მექანიზმები ანუ უკვე არის საუბარი კანონმდებლობის ცვლილებასა და გარკვეული მექანიზმების ამუშავებაზე. არც იმას გამოვრიცხავ, რომ შეწყალების აქტი გატანილი იყოს პრეზიდენტის ინსტიტუტისგან და, მაგალითად, ომბუდსმენის ინსტიტუტს დაუქვემდებარონ.

ამგვარი მეთოდებით ეცდებიან სიტუაციის განმუხტვას, რადგან სიტუაციას ნამდვილად აქვს გამწვავების დიდი რესურსი. თუმცა, მეეჭვება, იმპიჩმენტამდე მივიდეს საქმე.

***– გამორიცხავთ, რომ ივანიშვილმა კარგად გაიცნო სალომე ზურაბიშვილი და მიხვდა, რომ მასთან თანამშრომლობა რთულია და ამიტომ დაიწყო უმრავლესობამ მისი ღია კრიტიკა? ერთი ადამიანი არ ჩანს, რომელიც დაიცავდა პრეზიდენტს.***

– იმპიჩმენტის პროცედურის ამოქმედებას ყველა შემთხვევაში მე გამოვრიცხავ. იურისტებმა უკვე კარგად განმარტეს, თუ რა შემთხვევაში ხდება პრეზიდენტის მიმართ იმპიჩმენტი. ერთი, პრეზიდენტის პირდაპირი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში და მეორე – კონსტიტუციის დარღვევის შემთხვევაში. გამოძიება მიმდინარეობს და დეტალებს ის დაადგენს, მაგრამ მე მეეჭვება, რომ ამ პროცესში ზურაბიშვილი უშუალოდ მონაწილეობდა.

***– პასუხისმგებლობას სრულად იღებს.***

– პოლიტიკურს. რა თქმა უნდა, პოლიტიკური პასუხისმგებლობა მასზეა. რა იქნება სამართლებრივ ნაწილში, ვნახოთ. რასაკვირველია, ამ მიზეზითაც შეიძლება პრეზიდენტი გადადგეს, უფრო მსუბუქი მიზეზითაც გადამდგარან, მაგრამ მეეჭვება, რომ ან თვითონ მოისურვოს ან „ოცნებამ“ მისცეს ამის საშუალება.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ახალი არჩევნები ახალი თავსატეხია და თან საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ერთმანეთს დაემთხვევა.

***– პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა რომც მოინდომოს გადადგომა, ამის უფლებას „ქართული ოცნება“ არ მისცემს? ერთხელ პრეზიდენტმა მარგველაშვილმა თქვა, რომ თავიდან მას უნდოდა გადადგომა.***

– დიახ, „ქართული ოცნება“ ამას არ დაუშვებს. ეს ალბათ პოლიტიკურად სალომე ზურაბიშვილისთვისაც მიუღებელი იქნება. ეს ნაბიჯი პრობლემებს შეუქმნის საპარლამენტო არჩევნებზე „ქართულ ოცნებას“. პრეზიდენტის ასეთი წასვლა უკვე არგუმენტი იქნება „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ საპარლამენტო არჩევნებშიც.

ახლა ბევრი რამე დამოკიდებულია პროკურატურაზე, თუ რა მოტივები გამოიკვეთება. ერთ-ერთ ვერსიად ისიც განიხილება, რომ ხელოვნურად, ისე, რომ საერთოდ არ იცოდა პრეზიდენტმა, თუ ვის იწყალებდა, ისე იქნა შედგენილი სია, რომ ასეთი შედეგები გამოეწვია.

არც ეს ვერსია შეიძლება გამოირიცხოს. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რას იტყვის გამოძიება. ასევე მნიშვნელოვანი იქნება გამოძიების ოპერატიულობა. საზოგადოებისთვის თუნდაც შუალედური ინფორმაციის მიწოდება, რადგან ინტერესი ძალიან მაღალია.

# რუსეთი ოკუპირებული აფხაზეთის არმიის მოდერნიზებას იწყებს

## აფხაზეთის ფაქტობრივ ჯარს კოდორიდან გატაცებული უკრაინული ჰაუბიცები შემორჩა

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებულ აფხაზეთში საარჩევნო ვნებები არ დამცხრალა, ოპოზიცია დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს მომდევნო ინსტანციებში ასაჩივრებს. აფხაზური ჯარის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისთვის არავის სცალია.

მიუხედავად ამისა, აფხაზების „უფროსმა ძმამ“ ოკუპირებული ტერიტორიის მილიტარიზაციისა და სამხედრო კონტროლის გაძლიერებისათვის სწორედ ახლა მოიცალა. რუსეთში მიიჩნევენ, რომ სამხრეთ საზღვრები გასაძლიერებელია, იქმნება ახალი გარემოებები, რაც რეაგირებას მოითხოვს.

ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ამ სამხედრო აქტივობამ აფხაზეთში სიხარული გამოიწვიოს. სამი წლის წინ, როცა მოხდა რუსულ-აფხაზური ჯარების ერთობლივი დაჯგუფების შექმნის შეთანხმების რატიფიკაცია, აფხაზეთში გამოითქმებოდა უკმაყოფილება. აფხაზების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს დამაზიანებელია აფხაზეთის „სუვერენიტეტისათვის“.

მოდერნიზაციის პროექტის რუსი ავტორების განმარტებით, აფხაზეთის არმიის ბრძოლისუნარიანობის გაზრდა ადრევე იგეგმებოდა. პროცესი გაჭიანურდა აფხაზეთში არსებული რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის გამო. ისინი დარწმუნებული არიან, რომ აფხაზეთში საარჩევნო ციკლი ჩავლილია, სიტუაცია კი – სტაბილური.

აფხაზური არმიის მოდერნიზებით დაკავდება ჯგუფი რუსეთის თავდაცვისა და საგარეო სამინისტროების თანამშრომლების შემადგენლობით.

რუსეთის სამხედროების გეგმით, კრიზისულ ვითარებაში აფხაზეთსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ჯარს უხელმძღვანელებს ჯარების ერთობლივი დაჯგუფების შტაბი რუსი უფროსი ოფიცრის მეთაურობით.

იცვლება საორგანიზაციო სტრუქტურა – იმოქმედებს როგორც ერთობლივი დაჯგუფება, ისე თავდაცვის ტერიტორიული ძალები.

გათვალისწინებულია ჯარის თანამედროვე სამხედრო ტექნიკით აღჭურვა. დღევანდელი შეიარაღება მოძველებულია. მათ შორისაა ხრუშჩოვის დროინდელი ტანკები, ასევე უკრაინული ჰაუბიცები, რომლებიც აფხაზებმა კოდორის ხეობიდან 2008 წელს წამოიღეს. აფხაზების ხელშია ბაბუშერას აეროდრომზე შემორჩენილი 5 ჩეხური თვითმფრინავი.



ამჟამად აფხაზური ჯარის ბრიგადები განლაგებულია სოხუმში, ოჩამჩირესა და ბიჭვინთაში. შესაძლოა, მათი დისლოკაციის ადგილი არ შეიცვალოს.

აფხაზი სამხედროების ნაწილმა წვრთნა გაიარა რუსეთის სამხედრო სასწავლებლებში. მათ ახალ ტექნიკასთან მუშაობა არ გაუჭირდებათ.

რუსეთში აღელვებთ აფხაზების დისციპლინა. მათი დაკვირვებით, ბევრი აფხაზის, ისევე, როგორც ბევრი ოსისთვის, ჯარი ჩვეულებრივი სამსახურია, სადაც იღებენ ხელფასს და სოციალურ სტატუსს. მათ გააზრებული არა აქვთ, რომ აუცილებელია წვრთნები, შრომა, ყაზარმებში ღამის გათევა და მათი დალაგება.

რუსეთში თავის ტკივილს იწვევს ასევე ოკუპირებულ რეგიონებში გამეფებული შიში. მილიტარიზაციის ინიციატორები აღიარებენ, რომ სოხუმსა და ცხინვალში ვრცელდება „ლიბერალური იდეოლოგია“ და აზრი, რომ რუსეთში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ აფხაზები და ოსები ქართველების პირისპირ აღმოჩნდებიან.

ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმი იმასაც აცხადებს, რომ წნელისთან ქართული საგუშაგოს აღმართვა პუტინის ლიბერალური ოპოზიციის პროვოკაციული იდეაა.

როგორც ჩანს, რუსეთს გართულებულ გეოპოლიტიკურ ფონზე დასჭირდა ოკუპირებული აფხაზეთის მილიტარიზაცია. აფხაზეთში ასევე განლაგებულია რუსეთის მე-7 სამხედრო ბაზა ბომბორას აეროდრომით.

აგვისტოს ბოლოს მოსკოვში აფხაზეთის დე ფაქტო თავდაცვის მინისტრი მერაბ ქიშმარია და რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუ აფხაზური არმიის მოდერნიზაციაზე შეთანხმდნენ.

პუტინმა ამისთვის ფინანსების გამოყოფის განკარგულება ახლა გასცა.

# ბექა ნაცვლიშვილი: „თამარ ალანიას მოსამართლეობა არ შეიძლება“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ტანილი ცვლილებებით იუსტიციის საბჭო უნდა გაუშვას სახლში. მე თუ მკითხავთ, იუსტიციის არა თუ ეს შემადგენლობაა გასაშვები, არამედ მთლიანად გასაუქმებელია.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ იუსტიციის საბჭო თავის დროზე შეიქმნა იმისთვის, რომ კოორდინაცია გაეკეთებინათ სასამართლოში მიმდინარე რეფორმებისათვის. გახსოვთ, სასამართლოს ტალღები იყო და ეს უნდა ყოფილიყო ადმინისტრირების ორგანო და არა მოსამართლეების სასამართლო. იმ ტალღებმა ვერ მოაღწია და ყველაზე ცუდი, რაც მოხდა, ის არის, რომ საბჭო გახდა მოსამართლეების კლანური მმართველობის სუბიექტი. მე როცა ამას ვამბობდი, ბევრი ჩემი კოლეგა მეუბნებოდა, რომ ეს არის არაკონსტიტუციური. უბრალოდ, არ მინდა ახლა პერსონალურად დავასახელო ის კოლეგები.

ეს სასამართლო, რაც ახლა გვაქვს, აისახება ყველაფერზე, მათ შორის ეკონომიკურ განვითარებაზე. არც ინვესტორი შემოვა, სადაც მისი კონკურენტუნარიანობის ინდექსით ქვეყანა 67-ე ადგილზეა და ამ ინდექსით ყველაზე დაგვიანებული მაჩვენებელი არის დამოუკიდებელი სასამართლო და მის მიმართ ნდობა.

ადგილობრივი მოქალაქეც კი არ ჩადებს ფულს ქვეყნის ინვესტიციებში. იმიტომ, მას რომ რაიმე დავა მოუწიოს, მას მოუწევს არასამართლიან სასამართლოში წასვლა და რატომ აიტკივებს თავს. ან ის უნდა მოელაპარაკოს რაღაც ჯგუფებს, კლანებს თუ ოლიგარქებს. ნელ-ნელა მჟღავნდება ეს თემები და ბიზნესმენები ლაპარაკობენ, რომ თურმე ხდება რაღაც კულუარული შეხვედრები და გარჩევები. თურმე სარდაფებში ხდება საქმეების გარჩევა. როგორც ჩანს, ძველ დროს ვუბრუნდებით და ასეთ პირობებში რომელი ინვესტორი ჩადებს ფულს?! ამ კლანის ჩაბეტონების შემდეგ კი ქვეყანაში სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდება, ამის პირობას გაძლევთ.

ამიტომ, უმრავლესობისგან დიდ აჟიოტაჟს არ ველოდები. მარტივად ხდება ამის დადგმა. ვინც არ მოსწონთ მათ, ეს იქნება ხმამაღლა გაჟღერებული, თუმცა კულუარულად იქნება მათთან მუშაობა იმასთან დაკავშირებით, რომ „ქართული ოცნებისა“ და კლანისგან შეთანხმებულ კანდიდატზე იყოს 76 ხმა, ალბათ ცოტა მეტი ხმაც, რომ რაღაც უზუსტობა გამოირიცხოს.

**ბექა ნაცვლიშვილი** კი ამბობს, რომ მას ჰქონდა უმრავლესობის დეპუტატებთან საუბარი და მათ უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ წარმოდგენილ მოსამართლეებთან მიმართებით, რომლის მოსმენაც უკვე მოხდა. განსაკუთრებით კი ეს თამარ ალანიასა და შოთა გეწაძეს ეხება.

***– ლევან კობერიძემ გააჟღერა იდეა, რომ მოსამართლეებს მხარი არ დაუჭიროთ პარლამენტმა და ყველა კანდიდატი ჩააგდოთ. ეთანხმებით მის ამ ინიციატივას?***

– ამაზე არაერთხელ გამიკეთებია ჩემი მოსაზრება. თავიდანვე ჩვენი, დამოუკიდებელი დეპუტატების ძალისხმევა იყო, რომ პროცედურულად სხვანაირი ყოფილიყო და პარლამენტში გადმოსულიყო ეს პროცედურა და არ დარჩენილიყო იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. როდესაც ვენეციის კომისიამ გააკეთა ირიბი მინიშნება, რომ არ უნდა ყოფილიყო ფარული კენჭისყრის პროცედურა, ეს იყო ამის ნათელი დადასტურება.



აქედან გამომდინარე, ეს პროცესი საფუძველშივე დისკრედიტირებულია. იმიტომ, რომ ჩვენ თავიდანვე იმაზე ვაკეთებდით მინიშნებას, რომ სწორედ ისეთი კანდიდატები შემოვიდოდნენ, რომლებიც იმ ვიწრო ჯგუფს აწყობდა. ჯგუფს, რომელსაც უკვე ეწოდება სახალხოდ კლანი. თავიდანვე დისკრედიტირებულია ეს პროცესი.

ჩემი კოლეგის, ლევან კობერიძის მსგავსად, მეც საკმაოდ კრიტიკული ვარ ამ მოსამართლეებთან დაკავშირებით და, რა თქმა უნდა, ჩემი ხმა მათ არ ეკუთვნით, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, რომელთაც შესაძლოა დავუჭირო მხარი, მაგრამ ზოგადად ეს პროცესი საფუძველშივე დისკრედიტირებულია სწორედ იუსტიციის საბჭოს მოქმედებებიდან და იმ პროცესიდან გამომდინარე, რომლითაც ამ მოსამართლეების წარმოდგენის პროცესი ჩატარდა.

უკვე მესამე კანდიდატს ვიხილავთ და ორ კანდიდატზე საერთოდ ლაპარაკიც კი არ მაქვს, იმდენად უარყოფითი დამოკიდებულება მაქვს. ეს განსაკუთრებით ეხება თამარ ალანიასა და შოთა გეწაძეს. პოზიცია ცალსახაა და ეს განხილვასაც კი არ ექვემდებარება. ისინი არასდროს არ დაიმსახურებენ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობას. გამომდინარე მათი წარსული გადაწყვეტილებებიდან. იმედი მაქვს, რომ თვითონ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებიც გამოიჩენენ კეთილგონიერებას და არ დაუჭერენ მხარს, ვინაიდან სწორედ ისინი არიან უმრავლესობაში და სწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ. მინიმუმ ისეთ მოსამართლეებთან დაკავშირებით მაინც, რომლებსაც გამადიდებელი ლუპით სჭირდებათ დაკვირვება და მათთვის მხარდაჭერა პოლიტიკურადაც არ იქნება გამართლებული, რომ ისინი იყვნენ გამწესებული უზენაეს სასამართლოში.

***– ალბათ საუბრობთ კოლეგებთან და რა განწყობაა უმრავლესობაში?***

– ყველას რა განწყობა აქვს, ეს მე არ ვიცი, მაგრამ ჩემს კოლეგებს, რომლებსაც ვეკითხები აზრს პირად საუბრებში, მათ აქვთ უარყოფითი განწყობა და ეს მაძლევს იმედს, რომ ასეთი მოსამართლეების კანდიდატურებს ჩააგდებენ.

***– მოსამართლეების თემა იყო პირველი ხმაურიანი განხეთქილების საფუძველი გუნდში და ხომ არ ვარაუდობთ, რომ შესაძლოა ახლაც გახდეს განხეთქილების საბაბი?***

– არ ვიცი. ვარაუდებზე ვერ ვისაუბრებ. მე გესაუბრებით იმ სიტუაციაზე, რაც არის.

***– ეს განწყობაა მათზე, ვისაც მოუსმინეთ თუ ზოგადად პროცესთან მიმართებით?***

– ეგ ჯერ არ ვიცი. პირად საუბრებში ვსაუბრობთ კონკრეტულ კანდიდატებთან დაკავშირებით. ზოგადად ვინ რა გადაწყვეტილებას მიიღებს, ეგ არ ვიცი. ამას წინათ ვესაუბრე თამარ ალანიაზე და ცალსახაა, რომ თამარ ალანიას გამწესება არ შეიძლება. ეს თავად ალანიამაც კარგად იცის და ის შეეგუება ამ ბედს.

***– თუ მაინც დაუჭერენ ასეთ ოდიოზურ მოსამართლეებს მხარს, მაშინ რა გეგმა გაქვთ დამოუკიდებელ დეპუტატებს?***

– ჩვენ ვეცდებით როგორც განხილვის პროცესში, ისე კენჭისყრის პროცესში დავარწმუნოთ ჩვენი კოლეგები, რომ ეს იქნება არალეგიტიმური გადაწყვეტილება, თუ ასეთ მოსამართლეებს მხარს დაუჭერენ.

# დიმიტრი გაბუნია ირმა ნადირაშვილის წინააღმდეგ სარჩელს შეიტანს

## ირმა ნადირაშვილი: „გაბუნიას განცხადებებს სერიოზულად არ აღვიქვამ“

გუშინ, 25 სექტემბერს, საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი დიმიტრი გაბუნია გენერალურ პროკურატურაში გამოკითხეს.

პროკურატურაში შესვლამდე გაბუნიამ ჟურნალისტებს უთხრა, რომ აინტერესებს, რატომ გაჟღერდა მისი სახელი და გვარი ამ საქმესთან მიმართებით.

კითხვაზე, უნდა მივიდეს თუ არა გამოკითხვაზე სალომე ზურაბიშვილი, დიმიტრი გაბუნიამ ასე უპასუხა:

— თუ დაიბარებენ ალბათ, მოვა.

გამოკითხვის შემდეგ გაბუნიამ თქვა, რომ ყველა იმ პირის მიმართ, ვინც შეწყალების სკანდალში მისი გვარი გარია, სარჩელის შეტანას აპირებს და გამოძიებასაც მოითხოვს.

— როგორც კი დამთავრდება ეს გამოძიება, კანონის სრული სიმკაცრით, ყველა ის პირი, ვინც მე, დიმიტრი გაბუნია, ჩემი სახელი და გვარი გარია ამ ბინძურ ცილისწამებაში, კანონის სრული სიმკაცრით აგებს პასუხს.

პირადად მე შევიტან განცხადებას პროკურატურაში და პირადად მე შევიტან სარჩელს სასამართლოში. ეს თემა ასე არ დამთავრდება. ჩემთვის ეს თემა არის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი, როდესაც ჩემი ოჯახი არის ამ დღეში, როდესაც მე შემეხო ეს საკითხები. მე არ ვიცი ჯერ ვინ დაგეგმა, ვის სჭირდებოდა ჩემი სახელის და გვარის გარევა, როდესაც გამჭვირვალედ, სტრუქტურულად ყველაფერი ნათელი იყო, — განაცხადა გაბუნიამ.



ერთ-ერთი სუბიექტი, ვის სახელზეც გაბუნია სარჩელის შეტანას აპირებს, „ევროპული საქართველოს“ წევრი, დეპუტატი ირმა ნადირაშვილია.

— აუცილებლად ის იქნება ერთ-ერთი ფიგურანტი. სარჩელს შევიტან ყველა იმ ცრუპენტელას მიმართ, ვინც საჯაროდ ხელი დამადო და თითქოს კორუფციაში მამხილა.

გარდა ამისა, დამოუკიდებელი ჟურნალისტური გამოძიება მიმდინარეობს და რამდენიმე დღეში დაგისახელებთ. შემიძლია გითხრათ, რომ რუსთავი 2 არაფერ შუაში არ არის. დამოუკიდებელი ჟურნალისტები არიან, საკმაოდ ცნობილი ადამიანები და რამდენიმე დღეში დაგისახელებთ, — აღნიშნა გაბუნიამ.

საპარლამენტო მდივნის განცხადებას გუშინვე უპასუხა დეპუტატმა ირმა ნადირაშვილმა.

— დიმიტრი გაბუნიას განცხადებებს სერიოზულად არ აღვიქვამ. წარმოუდგენელია ასეთი საქმის წარმოება ჩემ წინააღმდეგ, თუ, რა თქმა უნდა, „ქართული ოცნება“ არ გადაწყვეტს, ჩემი პოლიტიკური დევნა განახორციელოს გაბუნიას ხელით, — თქვა მან.

დეპუტატის აზრით, გამოძიებამ უნდა დაადგინოს გაბუნიას შესაძლო კავშირები შეწყალების საკითხთან დაკავშირებით.

— მე ვალდებული ვიყავი, ინფორმაცია, რომელიც მქონდა, თქვენთვის გამემხილა და პროკურატურისთვის მიმეწოდებინა. რამდენად არის გაბუნია გარეული იმ კორუფციულ თუ სხვა ტიპის სქემებში, რომლის შედეგადაც მოხდა ეს შეწყალება, ეს პროკურატურამ უნდა დაადგინოს, ეს მე არ ვიცი.

ის, რაც მე ვიცი 100%-ით არის ის, რომ საქართველოს უზნეო პრეზიდენტი ჰყავს და ამ უზნეო პრეზიდენტთან მუშაობს გაბუნია. მიუხედავად იმისა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საკმაოდ გააფუჭა კანონმდებლობა ამ მიმართულებით, ჩემს წყაროს მაინც იცავს კანონი. მე არ მინდა სერიოზულად მივუდგე გაბუნიას ამ განცხადებებს, — დასძინა ირმა ნადირაშვილმა.

# ანგი ხუციშვილი პროკურატურაში დაიბარეს

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ანგი ხუციშვილი გენერალურ პროკურატურაში დაიბარეს.

უწყების ცნობით, ანგი ხუციშვილი გამოკითხვაზე დღეს, 26 სექტემბერს, 12:00 საათზეა დაბარებული.

პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით გამოცემული შეწყალების აქტით, მკვლელობისთვის მსჯავრდებული რამდენიმე პირი შეიწყალა, მათ შორის 22 წლის პოლიციელის, თარაშ მუკბანიანის, გიორგი ოთხმეზურის შვილის, დავით ოთხმეზურისა და სოსო ქოიავას მკვლელობისთვის მსჯავრდებული პირები.

სკანდალური შეწყალების შემდეგ პროკურატურამ მსჯავრდებულების: რამაზ დევაძის, ასლან ბეჟანიძის, ზურაბ ნადირაძის და სხვა პირთა შეწყალების პროცესში სამსახურებრივი



უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენების ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

# მოსამართლე შოთა გეწაძე: „2011 წელს ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა კანონიერი იყო“



გუშინ, 25 სექტემბერს, პარლამენტში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ შოთა გეწაძეს მოუსმინეს.

წინა ხელისუფლების პერიოდში აღნიშნულმა მოსამართლემ ბიძინა ივანიშვილს და მის მეუღლეს მოქალაქეობა ჩამოართვა.

მოსამართლე გეწაძეს სწორედ ამ გადაწყვეტილების სამართლიანობა შეახსენა დეპუტატმა ირაკლი ბერაიამ, რაზეც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატმა თქვა:

— მოსარჩელე ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მაშინდელი კანონმდებლობით კანონიერი იყო...

ეს ისეთი საკითხია, მხოლოდ „კი“ და „არა“, მე ვფიქრობ, არასაკმარისი იქნება. სამართლებრივად სწორი რომ იყო, ამაზე „კი“, რა თქმა უნდა, მაგრამ რატომ იყო სამართლებრივად სწორი, თქვენ არ გსურთ ამაზე პასუხი?

შოთა გეწაძემ თქვა, რომ მან სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო.

— ეს იყო მაშინდელი კანონმდებლობით კანონიერი გადაწყვეტილება. მოქალაქეობა არ არის უფლება, რომ ჩვენ სამართლიანობაზე ვისაუბროთ, ამიტომაც სამართლიანი და კანონიერი ამ შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვეოდა, — განაცხადა გეწაძემ.

მისი თქმით, მოსამართლის წარსული საქმიანობა და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უზენაეს სასამართლოს რეპუტაციას არ შეულახავს.

— მოსარჩელე ივანიშვილსა და მოსარჩელე ხვედელიძეს, ორივეს გააჩნდათ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა. მოსარჩელე ხვედელიძეს ასევე გააჩნდა საფრანგეთის მოქალაქეობა. შემდგომში მიმართეს საქართველოს პრეზიდენტს, რომ მიენიჭებინა მათთვის საქართველოს მოქალაქეობა. განაცხადში ორივე მოსარჩელის შემთხვევაში დაფიქსირდა, რომ არიან რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები.

პრეზიდენტმა ორივეს მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა. წლების შემდეგ, 2011 წელს პრეზიდენტმა ორივეს შეუწყვიტა მოქალაქეობა. მოსარჩელე ივანიშვილს იმ საფუძვლით, რომ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შემდეგ მან მიიღო საფრანგეთის მოქალაქეობა. მაშინდელი კონსტიტუციური ჩანაწერით და ასევე, ორგანული კანონით მოქალაქეობის შესახებ, თუ საქართველოს მოქალაქე შემდგომში მიიღებს უცხო ქვეყნის მოქალაქეობას, მას შეუწყდება საქართველოს მოქალაქეობა. ზუსტად ეს იყო მაშინ სახეზე, — განაცხადა გეწაძემ.

# სუსმა „არგი-ჯგუფისა“ და „ქართულ-ამერიკული სამშენებლო კომპანიის“ დირექტორები დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულმა სააგენტომ თაღლითობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა, ხოლო სამეწარმეო გულგრილობის ფაქტზე ერთი პირი პასუხისგებაში მისცა

— სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თაღლითობის ფაქტზე, შპს „ქართულ-ამერიკული სამშენებლო კომპანია“-ს დამფუძნებელი და დირექტორი — ნუგზარ ბ. დააკავეს, ხოლო სამეწარმეო გულგრილობის ფაქტზე შპს „არგი ჯგუფი“-ს დამფუძნებელი და დირექტორი — გიორგი ხ. პასუხისგებაში მისცეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ქალაქ საგარეჯოში, კოსტავას ქუჩაზე სკვერის მოწყობის სამუშაოების თაობაზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულმა შპს „არგი-ჯგუფის“ დირექტორმა და 100% წილის მფლობელმა გიორგი ხ-მ ქვეკონტრაქტორად დაიქირავა შპს „ქართულ-ამერიკული სამშენებლო კომპანია“, რომლის დირექტორი ნუგზარ ბ. დოკუმენტაციაში არასწორი მონაცემების შეტანის გზით მოტყუებით დაეუფლა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის კუთვნილ 8.886,18 ლარს.

თავის მხრივ, შპს „არგი ჯგუფის“ დირექტორმა და დამფუძნებელმა გიორგი ხ-მ, რომელიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე პასუხისმგებელი იყო გაწეული სამუშაოს ხარისხსა და ვარგისიანობაზე, არაჯეროვნად შეასრულა სამსახურებრივი მოვალეობა მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, სათანადოდ არ გამოიკვლია შესრულებული სამუშაოები და ნუგზარ ბ-ს დაუდასტურა წარმოდგენილი დოკუმენტაცია (ფორმა 2), რის საფუძველზეც, შპს „არგი ჯგუფის“ მიერ სამუშაოების მიღება-ჩაბარება განხორციელდა.

გამოძიება თაღლითობისა და სამეწარმეო გულგრილობის ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 220-ე პრიმა მუხლის 1-ელი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით).

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს, — აღნიშნულია სუსის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# მალხაზ კობაური: „თოფი რომ მიკიდია მხარზე, ეგ სურათი მკვლელების გადაღებულია“

## მწყემსი სმიტების ოჯახის მკვლელობას უარყოფს



სმიტების ოჯახის მკვლელობაში მსჯავრდებული მალხაზ კობაური დუმილს არღვევს და სასტიკი დანაშაულის დეტალებს ჰყვება.

როგორც კობაურმა „მთავარს“ უთხრა, მკვლელობა მას არ ჩაუდენია და სურათები არის მკვლელების გადაღებული.

— რამდენიმე ადამიანი ქართულადაც საუბრობდა. რაიანისა და მაიკლის ენაზეც, ეტყობა, თავიანთი ენა იყო. კი არ ესაუბრებოდა, უყვიროდა. წაართვეს ტელეფონი. მე ეს ვუთხარი პოლიციას, რაღაც საბუთებიც დავინახე, რომელიც ქალს ამოაცალეს ჩანთიდან. სურათი რომაა, თოფი რომ მიკიდია მხარზე, ეგ სურათია მკვლელების გადაღებული, — აცხადებს კობაური „მთავართან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში.

კითხვაზე, რატომ დატოვეს ის ცოცხალი დამნაშავეებმა, მწყემსი ამბობს, რომ სმიტების მკვლელებს სურდათ, საქმე მის წინააღმდეგ აღძრულიყო.

— დრო უნდოდათ, სადღაც 2 კვირა, რომ წასულიყვნენ, — განაცხადა კობაურმა.

„მთავარი არხის“ ინფორმაციით, გამომძიებელმა ჟურნალისტებმა მკვლელობის საქმეში ბევრი უზუსტობა აღმოაჩინეს. მოწმეების ჩვენებები გადაკოპირებულია, რაც აჩენს ეჭვს, რომ მოწმეებზე ზეგავლენა სამართალდამცავებმა მოახდინეს.

სმიტების ოჯახის მკვლელობაში ბრალდებულ მალხაზ კობაურს უვადო პატიმრობა აქვს მისჯილი. განაჩენი გორის რაიონულ სასამართლოში მიიღეს. ნაფიცმა მსაჯულებმა კობაური ყველა წარდგენილ ბრალში დამნაშავედ ცნეს. ბრალდების მხარე სამუდამო პატიმრობას ითხოვდა.

19 წლის მწყემსს, მალხაზ კობაურს განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობა ედება ბრალად. საუბარია ხადას ხეობაში ამერიკისა და საქართველოს ორმაგი მოქალაქეების, რაიან და ლორა სმიტებისა და მათი ოთხი წლის შვილის მკვლელობაზე.

# ჭიათურის მერიის თანამშრომელს მანქანაში ნარკოტიკი უპოვეს

პოლიციამ ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელი ნარკოდანაშაულისთვის დააკავა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გადაზიდვის ბრალდებით, 1971 წელს დაბადებული, ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, მშენებლობისა და ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომელი დ.ბ. დააკავეს.

დანაშაული 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ბრალდებული სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯავახოში იმ დროს დააკავეს, როდესაც იგი ცენტრალურ საავტომობილო გზაზე ავტომანქანით გადაადგილდებოდა.

პოლიციამ, დ.ბ.-ს პირადი ჩხრეკისას, ნარკოტიკული ნივთიერება „მეტადონის“ შემცველი სითხე ნივთმტკიცებად ამოიღო.

ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გადაზიდვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობს.

# საბერძნეთში ბავშვებით ვაჭრობისთვის 3 ქართველი ქალი დააკავეს

საბერძნეთში ბავშვებით ვაჭრობის ბრალდებით 12 ადამიანი დააკავეს, მათ შორის 3 ქართველი ქალია.

ბერძნული მედიის ინფორმაციით, დანაშაულებრივი ჯგუფი წლების განმავლობაში მოქმედებდა.

საქმეში დაახლოებით 60 ადამიანია გარეული.

ბავშვებს დაკავებულები 25.000 დოლარად ყიდდნენ, მათ შორის არიან ადვოკატი და ექიმი.

დაკავებული საქართველოს მოქალაქეები დანაშაულებრივ ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

# აშშ-ის კონგრესმა ტრამპის იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყო



აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატა პრეზიდენტ ტრამპის იმპიჩმენტის პროცედურას იწყებს.

ამის შესახებ 24 სექტემბერს პალატის სპიკერმა ნენსი პელოსიმ გამოაცხადა.

„დღეს მე ვაცხადებ, რომ წარმომადგენელთა პალატა იწყებს ოფიციალურ გამოძიებას იმპიჩმენტის პროცედურის ფარგლებში. მე ვავალებ ჩვენს 6 კომიტეტს, დაიწყონ შესაბამისი გამოძიება" – განაცხადა ნენსი პელოსიმ.



დღემდე აშშ-ის ისტორიაში პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება მხოლოდ სამჯერ მოხდა.

პირველად 1868 წელს პრეზიდენტ ენდრიუ ჯექსონის წინააღმდეგ დაიწყო იმპიჩმენტის პროცედურა, მეორედ – 1974 წელს რიჩარდ ნიქსონის წინააღმდეგ, მესამედ კი 1998 წელს ბილ კლინტონის წინააღმდეგ.

ენდრიუ ჯექსონი და ბილ კლინტონი კონგრესის ზედა პალატამ გაამართლა, რიჩარდ ნიქსონი კი პროცედურის დაწყებამდე გადადგა.

# ალჟირში ექსპრეზიდენტის ძმას 15 წელი მიუსაჯეს



ქალაქ ბლიდაში გამართულმა სამხედრო ტრიბუნალმა ალჟირის ყოფილ მაღალჩინოსნებს „სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულებისა" და „არმიის ავტორიტეტისთვის ზიანის მიყენებისთვის" 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მსჯავრდებულებს შორის აღმოჩნდნენ ექსპრეზიდენტ აბდელაზიზ ბუტეფლიკას ძმა და მრჩეველი საიდ ბუტეფლიკა, მმართველი „მშრომელთა პარტიის" ლიდერი ლუიზა ხანუნი, უშიშროების სამსახურის ყოფილი კოორდინატორი გენერალ-მაიორი ატმან ტარტაგი, დაზვერვისა და უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გადამდგარი კორპუსის გენერალი მუჰამედ მედიენი.

ისინი მაისში, აბდელაზის ბუტეფლიკას გადადგომის შემდეგ მალევე დააპატიმრეს.

სასამართლო პროცესი მთლიანად დახურული იყო. მათ 10 დღე აქვთ ვერდიქტის გასაჩივრებისთვის.

„მშრომელთა პარტიის" ხელმძღვანელები პროცესს პოლიტიკურს უწოდებენ.

# პაკისტანში მიწისძვრის შედეგად 24 ადამიანი დაიღუპა



პაკისტანში მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა გაიზარდა.

არსებული ინფორმაციით, მიწისძვრის შედეგად 24 ადამიანი დაიღუპა და 450 დაშავდა. ძირითადი ზარალი დაფიქსირდა სოფლებში, სადაც სახლების დიდი ნაწილი დაინგრა.

მიწისძვრის შედეგად დაზიანდა ქალაქების ჯემულესა და მირპურს შორის მდებარე რაიონი.

# ბორის ჯონსონის ისტორიული მარცხი



ბრიტანეთის უმაღლესმა სასამართლომ უკანონოდ ცნო პრემიერ ჯონსონის მიერ პარლამენტის მუშაობის შეჩერება.

აღსანიშნავია, რომ ჯონსონმა პარლამენტის მუშაობა სწორედ ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის წინ შეაჩერა.

ინგლისელი ექსპერტები უმაღლესი სასამართლოს დადგენილებას ჯონსონის ისტორიულ მარცხს უწოდებენ.

ოპონენტები პრემიერს გადადგომისკენ მოუწოდებენ. ჯონსონი უარზეა.

– სანამ ინგლისი ევროკავშირიდან არ გავა, არ წავალ! – აცხადებს ჯონსონი.

# აფეთქება თურქეთში
## 5 პოლიციელი დაიჭრა



თურქეთში, ადანას პროვინციაში, პოლიციის ავტობუსთან თვითნაკეთი ბომბი აფეთქდა, რის შედეგადაც 5 პოლიციელი დაიჭრა.

პროვინციის გუბერნატორის მახმუტ დემირთაშის ინფორმაციით, პოლიციელები საავადმყოფოში გადაიყვანეს და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

აფეთქებაზე პასუხისმგებლობა არც ერთ ორგანიზაციას არ აუღია.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ქალს ენა საკუთარი ხელისგან აღუდგინეს



დიდ ბრიტანეთში მცხოვრებ ქალბატონს ენა მისსავე ხელის ქსოვილებისგან აღუდგინეს.

რებეკა პატერსონს რვა წლის მანძილზე ენაზე პატარა წყლული, ხოლო პირის ღრუში თეთრი ლაქა ჰქონდა. მას ორალური კანდიდოზი დაუდგინეს, რომელიც ავადმყოფისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს, თუმცა დროთა განმავლობაში ენაზე ისეთი ძლიერი ტკივილები დაეწყო, რომ ქალი ვეღარც ჭამას და ვეღარც დაძინებას ახერხებდა.

2018 წლის აპრილში პატერსონმა ბიოპსია გაიკეთა. ანალიზებმა აჩვენა, რომ მას კიბო ჰქონდა. რებეკამ აღიარა, რომ ეს ახალი ამბავი ძალიან მძიმედ გადაიტანა, ვინაიდან მცირე ხნით ადრე მას შეყვარებულმა ხელი სთხოვა. ქალი შიშობდა, რომ ველარასოდეს შეძლებდა ლაპარაკს.

თუმცა ექიმებმა გამოსავალი მოძებნეს. პატერსონს ოპერაცია გაუკეთდა, რომლის დროსაც მას ენის მარჯვენა ნაწილი ამოკვეთეს, რომელიც დაავადებული იყო და ის მარცხენა ხელიდან აღებული კანისა და არტერიის ნაწილით შეუცვალეს. იმისთვის, რომ ახალი ენა პირში ჩატეულიყო, მას კისრის მარჯვენა მხარეს ლიმფური კვანძები ამოკვეთეს და ორი კბილი ამოუღეს.

ოპერაციის შემდეგ პატერსონი ერთი კვირა ლაპარაკს ვერ ახერხებდა და ძლივს ამოძრავებდა კისერსა და ხელებს. საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ მას ხელახლა მოუწია საჭმლის ჭამისა და გადაყლაპვის სწავლა. დიდი ხნის მანძილზე ის მხოლოდ წვრილად დაქუცმაცებული საკვების მიღებას ახერხებდა.

ოპერაციიდან ხუთი თვის შემდეგ კი ქალი სამსახურში, სკოლაში დაბრუნდა.

# ორმა გრიზლიმ ურთიერთობის გარკვევა საავტომობილო გზაზე გადაწყვიტა



კანადის ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციის ქალაქ სტიუარტის მახლობლად მდებარე საავტომობილო გზაზე გრიზლებმა ორთაბრძოლა გამართეს.

თვითმხილველის მიერ გადაღებულ კადრებში ორი დათვი ერთმანეთს უღრენს, მიწას თათებს უბარტყუნებენ და დროდადრო უკანა თათებზე დგებიან. თავდაპირველად ერთმა მეორე შეავიწროვა, მაგრამ ბუჩქებში მცირე შეხლა-შემოხლის შემდეგ, ცხოველებმა ადგილები გაცვალეს. მალე კი ტყიდან მგელი გამოჩნდა, დათვებისგან უსაფრთხო ადგილზე გაჩერდა და მათ ჩხუბს თვალს ადევნებდა.

დათვების ურთიერთობის გარკვევა ვიდეოზე კერი მაკგილივრეიმ გადაიღო და ფეისბუქში გამოაქვეყნა.

– ჩვეულებრივ აქ არაფერს ვაქვეყნებ, მაგრამ ახლა გადავწყვიტე მოჩხუბარი გრიზლების შთამბეჭდავი კადრები გამეზიარებინა თქვენთვის, – დაწერა მან ვიდეოს კომენტარში. მისმა ვიდეორგოლმა ორ მილიონზე მეტი ნახვა და 17 ათასი მოწონება მიიღო.

# მშობლები ბავშვს რძის ნაცვლად ყავას ასმევდნენ



ინდონეზიაში მშობლები ჩვილ ბავშვს რამდენიმე თვე ყავით კვებავდნენ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ანიტა და სარიფუდინ ჰაურები დასავლეთ სულავესის პროვინციის სოფელ ტონრო ლიმადან, რვა თვის განმავლობაში თავიანთ ჩვილ გოგონას მხოლოდ ყავით კვებავდნენ, ვინაიდან რძის და ბავშვთა კვების შეძენას ვერ ახერხებდნენ.

ოჯახური წყვილი ქოქოსის პლანტაციაში მუშაობს და მათი გამომუშავება დღეში დაახლოვებით 20 ათას რუპიას შეადგენს. ეს თანხა ძლივს ფარავს ყოველდღიურ ხარჯებს. ზოგჯერ კი არანაირი სამუშაო არ აქვთ. ამიტომ ერთადერთ,ი რითიც თავიანთ ბავშვს კვებავენ, იაფი დაფქვილი შაქართან ერთად მოდუღებული ყავაა.

მშობლების თქმით, ბავშვი ასეთ რაციონს შეეჩვია და ზოგჯერ ბრაზდება კიდეც, როდესაც ყავას არ აძლევენ. მთელი დღის განმავლობაში ის სამ ბოთლს, ანუ ლიტრანახევარ ყავას სვამს. ამავე დროს წლის და ორი თვის ბავშვის ჯანმრთელობის მაჩვენებლები სრულ ნორმაშია.

მას შემდეგ, რაც ეს ინფორმაცია ადგილობრივ პრესაში გავრცელდა, ოჯახს ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი სააგენტოს წარმომადგენლები ეწვივნენ. მათ რძე და ორცხობილები მიუტანეს და ბავშვის მშობლებს ურჩიეს, გოგონას ყავა მეტად აღარ დაალევინონ, ვინაიდან კოფეინმა და შაქარმა შესაძლოა ბავშვის ჯანმრთელობას სერიოზული ზიანი მიაყენოს.

# ქურდებმა პლეისთეიშენის მოსაპარად რარიტეტული ავტომობილი დაამტვრიეს



საბერძნეთის დედაქალაქ ათენში ქურდები მაღაზიაში 1967 წლის გამოშვება ფორდ მუსტანგით შევარდნენ და პლეისთეიშენის სათამაშო კონსოლები მოიპარეს.

ძარცვა დაახლოებით შუაღამისას მოხდა. მასში დაახლოებით ექვსი ადამიანი მონაწილეობდა. თავდამსხმელებმა გატაცებული რარიტეტული ფორდ მუსტანგი კარის შესანგრევად გამოიყენეს. უცნობმა ბოროტმოქმედებმა პლეისთეიშენის კონსოლები და, სავარაუდოდ, სხვა ელექტროსაქონელიც მოიპარეს.

ნაძარცვის წასაღებად ბოროტმოქმედებმა კიდევ ერთი ავტომობილით ისარგებლეს.

მუსტანგის მფლობელმა ვასილის ხატცევტიმიმ არც ისე დიდი ხანია, რაც მანქანის რესტავრაციაზე დაახლოებით 45 ათასი ევრო დახარჯა. მისი აზრით, მძარცველებმა არჩევანი მის ავტომობილზე იმიტომ შეაჩერეს, რომ რარიტეტულ მანქანებს უფრო მტკიცე შასი აქვთ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


# განცხადებები

**იყიდება**

● იყიდება მსხმოიარე ვენახი 0,5 ჰექტარი, ვენახში არის ჩინურის, თავკვერის და ალადასტურის ჯიშის ყურძენი. თბილისიდან 35 წუთის სავალზე, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში. ნაკვეთთან ახლოს გადის გზა, წყალი, გაზი და სინათლე. გამოდგება მარნის მოსაწყობად. 1 კვ.მ ფასი 12 ლარი. ტელ: 593 127337; 593 515603.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● დიაბეტური დაავადებების, ხერხემლის გამრუდების, ბავშვებში ბრტყელტერფიანობის, ყურებში შუილის, სმენის დაქვეითების მკურნალობა. მოგემსახურებათ გაეროს სერტიფიკატის მფლობელი ექიმი თამარ შავერდოვა. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამადანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# საბურთალო და ლოკომოტივი ნახევარფინალში გავიდნენ

**მეხანი (თბ)-საბურთალო 0:1 (დდ)**
**თბილისი. სპაერი**

0:1 მარგველაშვილი (105)

**მერანი:** თევდორაძე, ფოფხაძე, თევზაძე, გაფრინდაშვილი, კახელიშვილი, დათუნაიშვილი, შარიქაძე (ქარქუზაშვილი 113), დეისაძე, ხაბელაშვილი, გეწაძე (გოგოლაშვილი 75), ნიქაბაძე (ფიფია 87)

**საბურთალო:** კუპატაძე, მალი (კაკუბავა 103), მარგველაშვილი, რეხვიაშვილი, ლაკვეხელიანი (სანდოხაძე 91), ჩაბრაძე, ცნობილაძე (ალთუნაშვილი 73), დიასამიძე, გორგიაშვილი (გაბედავა 64), კოხრეიძე, როლოვიჩი

**გაძევება:** დათუნაიშვილი (117), კაკუბავა (120)



საბურთალო დავით ყიფიანის სახელობის თასის ნახევარფინალში გავიდა. საქართველოს ჩემპიონმა მეოთხედფინალურ შეხვედრაში სტუმრად ლიგა 2-ის გათამაშების ლიდერ თბილისის მერანს 1:0 დამატებით დროში აჯობა.

ერთადერთი ბურთი დამატებითი დროის 105-ე წუთზე გავიდა, როდესაც გეგა დიასამიძის ჩაწოდებულ სტანდარტზე, გაგი მარგველაშვილმა თავით გადაგზავნა ბურთი კარში.

რაც შეეხება 90 წუთს, განსაკუთრებით კი, მე-2 ნახევარს, საბურთალოელებს გოლის გატანის რამდენიმე რეალური შანსი ჰქონდათ, მაგრამ 2-ჯერ ოგნიენ როლოვიჩმა, ერთხელ კი გიორგი კოხრეიძემ ვერ გაიტანა. 2 ეპიზოდში თავისიანები გაშვებულ გოლს ლაზარე კუპატაძემ გადაარჩინა, როდესაც რთულად ასაღები ბურთები მოიგერია.

აღსანიშნავია, რომ მთავარ არბიტრ გოგა კიკაჩეიშვილს შეხვედრაში 8 ყვითელი ბარათის ჩვენება მოუხდა. დამატებით დროში კი ორჯერ წითელი ბარათის ჩვენებაც დასჭირდა – ჯერ მერანელი გიორგი დათუნაიშვილი გააძევა, შემდეგ კი – საბურთალოელი ლევან კაკუბავა.

**მეხანი (მ)-ლოკომოტივი 1:2 (დდ)**
**მარტვილი. მურთაზ ხურცილავა**

0:1 ინჯგია (24), 1:1 ბუხაიძე (90), 1:2 ანდრონიკაშვილი (110)

საქართველოს თასის ნახევარფინალში გავიდა თბილისის ლოკომოტივი. დედაქალაქელებს საამისოდ მარტვილში 120-წუთიანი ბრძოლა დასჭირდა. საბოლოოდ, ლევან კორღალიძის გუნდმა სტუმრად 2:1 აჯობა მე-3 ლიგის ლიდერ მერანს.

სამივე გოლი სტანდარტს მოჰყვა: 24-ე წუთზე რევაზ ინჯგიამ კუთხურიდან ჩაწოდებულს თავური შეაგება და ლოკო დააწინაურა, მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში კი გიორგი ბუხაიძემ საჯარიმოთი გაათანაბრა – 1:1.

დამატებით დროში თბილისელებს სათამაშო უპირატესობა ჰქონდათ და ლოგიკურად მოიგეს: მცველმა ალექსანდრე ანდრონიკაშვილმა კუთხურის მერე თავით მძლავრად დაარტყა – 1:2.

# „ზაფხული სულ ინდიანაში გავატარე"

## გოგა ბითაძე ნბა-ს პირველი სეზონისთვის ემზადება

ნბა-ში ჯერ სეზონი არ დაწყებულა, მაგრამ ქართველი გულშემატკივარი მას მოუთმელად ელის. იქ ხომ პირველი სეზონი უნდა ჩაატაროს საქართველოს ნაკრებისა და ინდიანა პეისერსის ცენტრმა გოგა ბითაძემ.

**გოგა ბითაძე:**

– თითქმის მთელი ზაფხული სულ ინდიანაში გავატარე, მხოლოდ 1 კვირით ვიყავი საქართველოში ჩასული. ასე რომ, უკვე დიდი ხანია აქ ვარ. ტერნერისა და საბონისის გარდა ყველა კალათბურთელთან ერთად ვივარჯიშე და ახალი სეზონისთვის ვემზადებით. ვარჯიშები ძალიან კარგად მიმდინარეობს. ნელ-ნელა ვუახლოვდები ჩემს თანაგუნდელებს, ვსწავლობ მათ. ვცდილობ, გავიგო, რა არის მათი ძლიერი მხარეები. მომწონს მათთან ერთად ყოფნა, ძალიან კარგი ადამიანები არიან. პარკეტს მიღმაც გავუგეთ ერთმანეთს და დავახლოვდით.

პირადად ცდას არ ვაკლებ, ყოველ ვარჯიშსა თუ თამაშზე 100%-ით ვიხარჯები. საკუთარ თავზე ვერ ვისაუბრებ, რას ვაკეთებ კარგად და რამდენად კარგად, თუმცა შემიძლია გითხრათ, რომ თავს კარგად ვგრძნობ. მომწონს თანაგუნდელებთან ერთად თამაში და ეს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.



ბითაძე ინდიანა პეისერსმა 2019 წლის ნბა-ს დრაფტზე მე-18 ნომრად აიყვანა. ნბა-ს წლევანდელი სეზონი კი 22 ოქტომბერს დაიწყება და პირველ ტურში ინდიანელები დეტროიტ პისტონსს უმასპინძლებენ.

მანამდე ბითაძის გუნდი წინასასეზონო 2 მატჩი ელის ინდოეთში – მუმბაიში საკრამენტო კინგსს 4 და 5 ოქტომბერს 2-ჯერ გაეჯიბრება.

# გერმანიაში სკანდალი მწიფდება



გერმანიაში საფეხბურთო სკანდალის მძაფრი სუნი ტრიალებს. საქმე ის არის, რომ გერმანიაში დიდი ხანია დაწყებულია დისკუსიები თუ ვინ აჯობებს ბუნდესნაკრების კარში – მანუელ ნოიერი (33 წლის, ბაიერნი) თუ მარკ-ანდრე ტერ შტეგენი (27 წლის, ბარსელონა).

ამ დისკუსიამ პიკს მიაღწია, რამაც წყობიდან გამოიყვანა ბაიერნის პრეზიდენტი ული ჰიონესი და ყველას მოუწოდა, ნოიერის კრიტიკას თავი დაანებონ.

მეტიც, ჰიონესი გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ იოახიმ ლიოვს ბოიკოტით დაემუქრა! ჰიონესმა გაჭრით თქვა, რომ თუ ლიოვი გერმანიის ნაკრების კარს ბარსელონელ მარკ ანდრე ტერ შტეგენს ანდობს, ეროვნულ გუნდში ბაიერნის ფეხბურთელებს აღარ გაუშვებს.

ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს ოლივერ კანისა და იენს ლემანის დაპირისპირებას, რაც მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის წინ ლემანის გამარჯვებით და კანის მე-2 ნომრად დაქვეითებით დასრულდა.

ამბავი კი ტერ შტეგენის განცხადებით დაიწყო. ბარსელონას მეკარემ გერმანიის ნაკრებში თამაშის მცირე დროზე დაიწუწუნა, რასაც საფეხბურთო წრეებში დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

ნოიერსა და ტერ შტეგენს შორის ბრძოლა და დისკუსიები აქტიურ ფაზაში 2018 წლის დეკემბრიდან გადავიდა, როცა ბუნდესმწვრთნელმა ლიოვმა ტელევიზიით პირდაპირ ეთერში ასეთი რამ თქვა:

– თუ მანუელი ფორმაში იქნება, როგორც დაგეგმილი გვქონდა, ევროპის 2020 წლის ჩემპიონატზე სწორედ ის იქნება პირველი მეკარე.

იანვარში ტერ შტეგენმა ინტერვიუში განაცხადა, რომ მანამდე არ შეწყვეტდა ზეწოლას, სანამ ლიოვი არ გადაწყვეტდა, რომ ის უნდა ყოფილიყო პირველი მეკარე.

სერბეთთან ამხანაგურ შეხვედრაში (1:1) ტერ შტეგენმა გერმანიის ნაკრებში 2019 წელს პირველი და დღემდე უკანასკნელი მატჩი ჩაატარა.

მას მერე, რაც სექტემბერში ლიოვმა ბარსას მეკარე არ ათამაშა, ტერ შტეგენმა განაცხადა:

– ეს მოგზაურობა ჩემთვის დიდი დარტყმა იყო. ახლა ნოიერი თამაშობს და საქმეს კარგად აკეთებს. ალბათ არ უნდა ველოდო, რომ გერმანიის ნაკრებში მათამაშებენ.

ამას მოჰყვა ნოიერის შემდეგი განცხადება:

– ჩვენ ერთი გუნდი ვართ და მისი ყოველი წევრი შესაბამისად უნდა იქცეოდეს. არა მგონია, რომ ტერ შტეგენის განცხადებები ნაკრებისთვის კარგი იყოს.

ზუსტად 2 დღის შემდეგ ნოიერს ტერ შტეგენმა უპასუხა:

– თუ ბოლო წლებს გადავხედავთ და დავაკვირდებით, როგორ ვიქცეოდი ამ ხნის განმავლობაში, ვფიქრობ, ნოიერის ასეთი კომენტარი არასწორია.

გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა კი ასეთი განცხადება გააკეთა:

– ჩემზე გავლენას ვერავინ მოახდენს. აბსოლუტურად მშვიდად ვარ.

როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები? გერმანული მედიის ინფორმაციით, ლიოვი ფიქრობს, რომ არგენტინასთან ამხანაგურ მატჩში (9 ოქტომბერს), ან ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში ესტონეთთან (13 ოქტომბერს) ტერ შტეგენი ათამაშოს.

# შედეგები

## 24 სექტემბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ლიგის თასი**

არსენალი-ნოტინგემი .................... 5:0
კოლჩესტერი-ტოტენჰემი .... 0:0 (4:3პ)
ქროული-სტოკი ................... 1:1 (5:3პ)
ლუთონი-ლესტერი ........................ 0:4
პორთსმუთი-საუთჰემპტონი .......... 0:4
პრესტონი-სიტი ............................ 0:3
უოტფორდი-სუონსი ...................... 2:1
უენსდი-ევერტონი ........................ 0:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვალიადოლიდი-გრანადა ............... 1:1
ბეტისი-ლევანტე ........................... 3:1
ბარსელონა-ვილიარეალი ............. 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.გრანადა | 6 | 3 | 2 | 1 | 12-6 | 11 |
| 2.ბილბაო | 5 | 3 | 2 | 0 | 6-1 | 11 |
| 3.რეალი | 5 | 3 | 2 | 0 | 10-6 | 11 |
| 4.სოსიედადი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-4 | 10 |
| 5.ბარსელონა | 6 | 3 | 1 | 2 | 14-10 | 10 |
| 6.სევილია | 5 | 3 | 1 | 1 | 5-2 | 10 |
| 7.ატლეტიკო | 5 | 3 | 1 | 1 | 5-4 | 10 |
| 8.ვილიარეალი | 6 | 2 | 2 | 2 | 13-10 | 8 |
| 9.ბეტისი | 6 | 2 | 2 | 2 | 9-10 | 8 |
| 10.ოსასუნა | 5 | 1 | 4 | 0 | 4-3 | 7 |
| 11.ლევანტე | 6 | 2 | 1 | 3 | 7-8 | 7 |
| 12.ხეტაფე | 5 | 1 | 3 | 1 | 7-6 | 6 |
| 13.ვალიადოლიდი | 6 | 1 | 3 | 2 | 5-8 | 6 |
| 14.სელტა | 5 | 1 | 2 | 2 | 3-6 | 5 |
| 15.ალავესი | 5 | 1 | 2 | 2 | 2-4 | 5 |
| 16.ვალენსია | 5 | 1 | 2 | 2 | 6-8 | 5 |
| 17.მალიორკა | 5 | 1 | 1 | 3 | 4-8 | 4 |
| 18.ესპანიოლი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-9 | 4 |
| 19.ეიბარი | 5 | 0 | 2 | 3 | 4-7 | 2 |
| 20.ლეგანესი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-8 | 1 |

**იტალია. სერია ა**

ვერონა-უდინეზე ............................ 0:0
ბრეშა-იუვენტუსი ........................... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 5 | 4 | 1 | 0 | 9-5 | 13 |
| 2.ინტერი | 4 | 4 | 0 | 0 | 9-1 | 12 |
| 3.ნაპოლი | 4 | 3 | 0 | 1 | 13-8 | 9 |
| 4.რომა | 4 | 2 | 2 | 0 | 10-7 | 8 |
| 5.ლაციო | 4 | 2 | 1 | 1 | 7-3 | 7 |
| 6.ატალანტა | 4 | 2 | 1 | 1 | 9-8 | 7 |
| 7.ბოლონია | 4 | 2 | 1 | 1 | 7-6 | 7 |
| 8.ტორინო | 4 | 2 | 0 | 2 | 6-6 | 6 |
| 9.მილანი | 4 | 2 | 0 | 2 | 2-3 | 6 |
| 10.ბრეშა | 5 | 2 | 0 | 3 | 6-7 | 6 |
| 11.სასუოლო | 4 | 2 | 0 | 2 | 10-7 | 6 |
| 12.კალიარი | 4 | 2 | 0 | 2 | 7-5 | 6 |
| 13.ვერონა | 5 | 1 | 2 | 2 | 3-4 | 5 |
| 14.ჯენოა | 4 | 1 | 1 | 2 | 7-9 | 4 |
| 15.უდინეზე | 5 | 1 | 1 | 3 | 2-5 | 4 |
| 16.პარმა | 4 | 1 | 0 | 3 | 4-7 | 3 |
| 17.სპალი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-8 | 3 |
| 18.ლეჩე | 4 | 1 | 0 | 3 | 3-10 | 3 |
| 19.სამპდორია | 4 | 1 | 0 | 3 | 2-9 | 3 |
| 20.ფიორენტინა | 4 | 0 | 2 | 2 | 6-8 | 2 |

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-სპეცია .............................. 3:0
ვირტუსი-ვენეცია ........................... 0:2
კოზენცა-ლივორნო ......................... 1:1
კროტონე-იუვე სტაბია .................... 2:0
პერუჯა-ფროზინონე ....................... 3:1
პიზა-ემპოლი ................................ 2:3
პორდენონე-ბენევენტო .................. 1:1
ჩიტადელა-პესკარა ........................ 2:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

დიჟონი-მარსელი ........................... 0:0
მონაკო-ნიცა .................................. 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 6 | 5 | 0 | 1 | 12-2 | 15 |
| 2.ანჟე | 6 | 4 | 0 | 2 | 13-10 | 12 |
| 3.მარსელი | 7 | 3 | 3 | 1 | 8-7 | 12 |
| 4.ნიცა | 7 | 4 | 0 | 3 | 11-11 | 12 |
| 5.რენი | 6 | 3 | 2 | 1 | 7-4 | 11 |
| 6.ლილი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-6 | 10 |
| 7.ნანტი | 6 | 3 | 1 | 2 | 6-5 | 10 |
| 8.ბორდო | 6 | 2 | 3 | 1 | 9-7 | 9 |
| 9.ლიონი | 6 | 2 | 2 | 2 | 12-5 | 8 |
| 10.რეიმსი | 6 | 2 | 2 | 2 | 4-2 | 8 |
| 11.ნიმი | 6 | 2 | 2 | 2 | 7-7 | 8 |
| 12მონპელიე | 6 | 2 | 2 | 2 | 5-5 | 8 |
| 13.ტულუზა | 6 | 2 | 2 | 2 | 6-8 | 8 |
| 14.არკა | 6 | 2 | 1 | 3 | 7-9 | 7 |
| 15.ბრესტი | 6 | 1 | 4 | 1 | 5-7 | 7 |
| 16.სტრასბური | 6 | 1 | 3 | 2 | 5-7 | 6 |
| 17.მონაკო | 7 | 1 | 3 | 3 | 10-15 | 6 |
| 18.სტ.ეტიენი | 6 | 1 | 2 | 3 | 6-12 | |
| 19.მეცი | 6 | 1 | 1 | 4 | 5-10 | 4 |
| 20.დიჟონი | 7 | 0 | 2 | 5 | 2-9 | 2 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

კალმარი-სუნდსვალდი .................. 0:2
დიურგარდენი-ფალკენბერგი ........ 1:0

**რაგბი. მსოფლიო თასი**

ფიჯი-ურუგვაი ............................ 27:30

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# სერფერმა სელფის გადაღების დროს შემთხვევით მეტეორის ჩამოვარდნა გადაიღო

სერფერმა გერმანიის ქალაქ ბერემხაფენიდან შემთხვევით ვიდეოზე მეტეორის ჩამოვარდნა გადაიღო. ამის ამსახველი კადრები ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

დორიან სი კაიტინგით იყო დაკავებული ჩრდილოეთის ზღვაში. ვიდეოჩანაწერის კადრებში მამაკაცს მარცხენა ხელი კაიტის ჯოხისთვის აქვს ჩავლებული და კამერაში რაღაცას ჰყვება. ამ დროს ცაში, მის ზურგს უკან, მეტეორი ჩაიფრენს.

უჩვეულო ვიდეოთი ამერიკის მეტეორების საზოგადოება დაინტერესდა. მათ ვიდეორგოლი თავიანთ ოფიციალურ გვერდზე განათავსეს და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ეს ჩანაწერი უნიკალურია. მათი თქმით, მეტეორი ცაში სულ რამდენიმე წამს მიფრინავს.

ექსპერტებმა დააზუსტეს, რომ მეტეორი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით მოძრაობდა და დანიის სამხრეთ ნაწილში ჩამოვარდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები



## ბექა!

დღეს შენი დაბადების დღეა, ჩემო ვაჟკაცო! უკვე მერამდენედ ხვდები ამ თარიღს მარადიულ სასუფეველში, ჩემო სიცოცხლევ!

გაუსაძლისია უშენობა. შენს შემდეგ ჩემი ცხოვრება ტკივილისა და მონატრების უსასრულო დღეებია. მიჭირს სიტყვების პოვნა, გამოვხატო ჩემი სულის ტკივილი, ჩემო ერთადერთო!

ნათელი გეფინოს მარადიულ სასუფეველში. მშვიდად განისვენე, ჩემო დარდო და ტკივილო!

*დედა*

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ლუდის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი ჩეხეთში; 2. ულელტეხილი საქართველოში; 3. ავტოდრომი იტალიაში; 5. ძვირფასი ქვა, რომელზედაც ამოკვეთილია წარწერა ან ორნამენტი; 6. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 8. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 11. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 13. შვეიცარიაში მდებარე ევროპაში ყველაზე გრძელი საავტომობილო გვირაბი; 14. საათის მექანიზმი; 15. რუსი მწერალი; 19. მდინარე კახეთში.

**თარაზულად:** 1. ფერთა სიუხვე არქიტექტურასა და სახვით ხელოვნებაში; 4. იესო ქრისტეს ჯვარცმის ადგილი იერუსალიმის მახლობლად; 7. მსხვერპლად შეწირული რამე; 9. სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 10. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 12. ჩინური ნავთობკომპანია; 16. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 17. საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში, სტანდარტი; 18. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 20. შინაური ფრინველი; 21. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 22. კათოლიკური ეკლესია პოლონეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ჰიპოლოგია; 2. ფოცხოვი; 3. ფიკუსი; 4. კრიჟი; 5. ალიევი; 11. ხარება; 12. სულიკო; 14. საკე; 16. ორაგული; 17. ამსტელი; 19. ლექსიკა; 21. შაორი; 22. კუკია.

**თარაზულად**: 6. სილიკოზი; 7. მორთული; 8. ჟოკეი; 9. ალონსო; 10. სესხი; 13. კიქსი; 15. როტვეილერი; 18. ვაიკულე; 20. მწდე; 21. შუქურა; 23. დისლოკაცია; 24. ნადური.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. თეზისი; 2. შანელი; 3. ლიმფა; 5. ბარი; 6. ჩინური; 8. პიარნუ; 11. პრიმადონა; 13. სვანეთი; 14. კაზუარი; 15. ჰამლეტი, 19. გოია.

**თარაზულად**: 1. თედიაშვილი; 4. დამბაჩა; 7. ზინდანი; 9. ფიდიასი; 10. ოპელი; 12. აერობუსი; 16. კუკარაჩა; 17. გახარია; 18. ცუგცვანგი; 20. ნექტარი; 21. კილი; 22. მირზაანი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


26 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9737

ევრო — 3.2684

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6963

100 რუსული რუბლი — 4.6626

## ამინდის პროგნოზი 26 სექტემბერი





## 1 ოქტომბრიდან

რევაზ მიშველაძე
რჩეული ნოველები
ოთხტომეული
ტომი 2




ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

## 24 სექტემბრიდან




თენგიზ პაპუაშვილი
საინგილო

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## ნინო ანანიაშვილი უნიკალური სპექტაკლის მსოფლიო პრემიერისთვის ემზადება



საბალეტო დასის ხელმძღვანელი, პრიმა ბალერინა ნინო ანანიაშვილი უნიკალური საბალეტო სპექტაკლის მსოფლიო პრემიერისთვის ემზადება:

– მზადდება უნიკალური სპექტაკლი, მსოფლიო პრემიერა – XIX საუკუნის გენიალური დანიელი ქორეოგრაფის, ბურნონვილის ბალეტი „ნატალი, ანუ განდევნილები“, რომელიც მარტო თბილისში გვექნება.

ამ ბალეტში ერთ-ერთი მთავარი გმირი ქართველი ოფიცერი არის და სწორედ მისი თავგადასავალი იქნება მოთხრობილი.

ულამაზესი კოსტუმები და დეკორაციები საქართველოშია შექმნილი.

დანიის სამეფო თეატრის ვარსკვლავმა, ყოფილმა სამხატვრო ხელმძღვანელმა ფრენკ ანდერსენმა და პრიმა-ბალერინა დინა ბიორნმა არაჩვეულებრივი სამუშაო გასწიეს და ულამაზესი სპექტაკლი შექმნეს.

აღსანიშნავია, რომ დინა ბიორნი ლარი-ბიორნ ლარსენის ქალიშვილია, იმ ადამიანის, ვინც ბურნონვილის მემკვიდრეობა გადაიბარა და მომავალ თაობებს გადასცა. ამ ოჯახში ინახება ბურნონვილის ბალეტების დიდი ნაწილის ქორეოგრაფიული ტექსტების არქივი. ზუსტად ამ მასალების საფუძველზე არის აღდგენილი ჩვენი სპექტაკლი.

## იუმორი

სანადიროდ აღკაზმული კაცი გზაში ახლობელს შეხვდა. ახლობელმა გაკვირვებულმა შეათვალიერა და ეკითხება:

– კი მაგრამ, სად მიდიხარ, ნადირობის სეზონი ხომ დასრულდა?

– კი, მაგრამ ჩემმა ცოლმა არ იცის...

•••

გამომძიებელი საავადმყოფოში მწოლიარე დაზარალებულს ეკითხება:

– თქვენ ამტკიცებთ, რომ არ გახსოვთ თუ როგორ გამოიყურება ის მოქალაქე, რომელიც თქვენ ბინაში შემოიჭრა, ხელიდან პერფორატორი გამოგგლიჯათ და უკანალში შეგირჭოთ? მაგრამ იქნებ ის ვინმე სხვამ, მოწმემ დაინახა?

– რომელი მოწმე ბატონო გამომძიებელო, შაბათს, დილის ექვს საათზე?

•••

ქმარი ცოლს ეკითხება:

– რას აკეთებ?

– არაფერს.

– არაფერს? კი მაგრამ, უკვე ერთი საათია ჩვენი ქორწინების მოწმობა გიჭირავს ხელში.

– ვარგისიანობის ვადას ვეძებ?

•••

უფროსი ხელქვეითს ეუბნება:

– თქვენ სამუშაოს კარგად ასრულებთ და დროა გაგიზარდოთ...

– ხელფასი?

– არა, სამუშაოს მოცულობა.

– ჰო, მაგრამ დატვირთვის ზრდას ხომ მუშაობის ხარისხის შემცირება მოჰყვება?

– მაშინ პრემიას ველარ მიიღებთ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ალისონ ბეკერი: „თამაში ძალიან მომენატრა“



ლივერპულის მეკარემ ალისონ ბეკერმა განაცხადა, რომ მას თამაში ძალიან მოენატრა და იმედი აქვს, რომ მოედანზე მალე დაბრუნდება.

ალისონის თქმით, ფეხბურთის გარეშე ცხოვრება მისთვის იოლი არ აღმოჩნდა, მაგრამ ის ყველაფერს ეჩვევა:

– ტრავმები ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია და ამას ვერაფერს დაუპირისპირებ. ძალიან მინდა, რომ მოედანზე მალე დავბრუნდე და ჩემს გუნდს დავეხმარო. როდესაც მატჩებს ტრიბუნიდან უყურებ, ეს იოლი არ არის, რადგან გინდა, რომ მოედანზე იყო.

ალისონი, სავარაუდოდ, ოქტომბრის დასაწყისში დაბრუნდება.

## გრიზმანი: „გამოსასწორებელი ბევრი გვაქვს“



ბარსელონას ფრანგმა ფორვარდმა ანტუან გრიზმანმა ვილიარეალთან გამარჯვების შემდეგ განაცხადა, რომ ბარსელონა ჯერჯერობით ოპტიმალურ ფორმაში არ არის და მას ბევრი აქვს სამუშაო.

გრიზმანმა საკუთარ თავზეც ისაუბრა და თქვა, რომ ის მოედანზე ყოველთვის ბოლომდე იხარჯება:

– სიმართლე გითხრათ, ეს არ არის ის ბარსელონა, რომელზეც ვოცნებობდი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ოპტიმალურ ფორმაში შევალთ. წინ ბევრი თამაშია, სადაც უნდა ვაჩვენოთ ჩვენი დონე. მოედანზე ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები და მომავალშიც ასე იქნება.

## ჯეიმი კარაგერმა ფიფა გააკრიტიკა



ლივერპულის ლეგენდამ ჯეიმი კარაგერმა, რომელიც ამჟამად სკაი სპორტზე საფეხბურთო ექსპერტად მუშაობს, ფიფა გააკრიტიკა და თქვა, რომ საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდოს ლიონელ მესი არ იმსახურებდა.

კარაგერის აზრით, ეს პრიზი ვირჯილ ვან დეიკს უნდა მოეგო:

– ვფიქრობ, ფიფას გადაწყვეტილება სამართლიანი არ იყო, თუმცა მესი უდიდესი ფეხბურთელია. წინა სეზონი ვან დეიკმა უმაღლეს დონეზე ჩაატარა და ის ამ პრიზს იმსახურებდა.

## მარიო ბალოტელი: „ყველა მსაჯი იუვენტუსის მხარეს არის“



ბრეშიას ახალწვეულმა მარიო ბალოტელიმ იუვენტუსთან მარცხის შემდეგ მსაჯებზე ისაუბრა და თქვა, რომ მსაჯები ყველა ეპიზოდში იუვენტუსის მხარეს იჭერენ, რაც ძალიან გამაღიზიანებელია.

ბალოტელის აზრით, ასეთი მიდგომა უნდა შეიცვალოს.

– იუვენტუსს დიდი ავტორიტეტი აქვს და ამიტომ გადაწყვეტილებებს ძირითადად მის სასარგებლოდ იღებენ. ასეთი მიდგომა უნდა შეიცვალოს, თორემ იტალიური ფეხბურთი ვერ განვითარდება, – თქვა ბალოტელიმ.

მან ბრეშას შემადგენლობაში იუვენტუსის წინააღმდეგ სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა, მაგრამ თავი ვერაფრით გამოიჩინა.

## ლიტვის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი გარდაცვლილი იპოვეს



ლიტვის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი არტურას რიმკევიჩუსი საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს. სავარაუდოდ, მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, თუმცა რა გახდა ამის მიზეზი, ჯერჯერობით უცნობია.

რიმკევიჩუსმა ეროვნული ნაკრების მაისურით 7 შეხვედრა ჩაატარა და 3 გოლის გატანა შეძლო.

არტურასმა საკლუბო კარიერა ძირითადად ლიტვაში გაატარა და 1 სეზონში მან 35 გოლის გატანაც შეძლო, რაც ლიტვის ისტორიაში საუკეთესო შედეგია.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## ალექსანდრე ზაზარაშვილმა კარნეგი ჰოლში იმღერა



უკრაინული „ვოისის“ გამარჯვებულმა ალექსანდრე ზაზარაშვილმა ნიუ იორკში, კარნეგი ჰოლში იმღერა. მისი გამოსვლა დამსწრე საზოგადოებამ მხურვალე აპლოდისმენტებით და ოვაციებით დააჯილდოვა. ალექსანდრეს დარბაზი ფეხზე წამოუდგა და მადლიერება ასე გამოხატა. საოპერო არიის შემდეგ, პატარა მომღერალმა მსმენელისთვის ქართული „ლალე“ შეასრულა.

ალექსანდრემ მონაწილეობა მიიღო ქართველი ბარიტონის დავით ღვინიანიძის მიერ ჩატარებულ კონკურსში „მუსიკალური გალერეა – გზა კარნეგი ჰოლისკენ“, სადაც გაიმარჯვა.

ამ პროექტის მოგების შემდეგ კი, ალექსანდრე კარნეგი ჰოლში სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებულ ნიჭიერ მომღერლებთან ერთად წარდგა მსმენელის წინაშე.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## გელა ჩარკვიანს სინდისი ქენჯნის



მწერალი, მუსიკოსი და დიპლომატი გელა ჩარკვიანი აღიარებს, რომ სინდისი ქენჯნის:

– კვლავ სინდისი მქენჯნის. ისეთი მხუთავი აღარაა, როგორც რამდენიმე წლის წინ, მაგრამ არის წამები, როცა ძლიერ სულიერ ტკივილს ვგრძნობ.

განა უსამართლობა არ არის, რომ ჩვენ, ცოცხლები, ვიღებთ ირაკლის რუსთაველის პრემიას, ვისმენთ მის სიმღერებს საინტერესო ახლებური შესრულებით, ვესწრებით ყოველგვარ პრეზენტაციებს, ვზეიმობთ, ვმასპინძლობთ სტუმრებს, გამუდმებით ვჩანვართ ტელეეკრანზე, ირაკლი და ნანა კი, ყოველივე ამ სიამოვნებას მოკლებულები, მიწაში წვანან.

ნუთუ ამ იდიოტური ხილული სამყაროს მიღმა არაფერია.

## ასტროპროგნოზი



26 სექტემბრისთვის

**ვერძი** – კომერციული საქმიანობა რეკომენდებული არ არის, დიდია მოტყუების ალბათობა. ენერგია დაზოგეთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. ცდუნებას ნუ აჰყვებით. **კურო** – ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ტყუპები** – არაკეთილისმყოფელი, მძიმე დღეა. მიღებული ინფორმაცია აუცილებლად საგულდაგულოდ გადაამოწმეთ. საღამო ბუნებაში გაატარეთ. **კირჩხიბი** – კრიტიკული დღეა. სულიერ წონასწორობას უსიამოვნო ინფორმაცია დაგირღვევთ. თუმცა ეს მოდუნების საშუალებას არ მოგცემთ. სიტუაციას თამამი და გონივრული გადაწყვეტილების მეშვეობით გამოასწორებთ. **ლომი** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ. **ქალწული** – კარგი დღეა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ნაცნობობის წრის გაფართოება თქვენი წარმატების საწინდარია. **სასწორი** – წინააღმდეგობრივი დღეა. განსაკუთრებით იღბლიანი პერიოდია მდედრობითი სქესის წარმომადგენელთათვის. თქვენი მომხიბვლელობა გარშემომყოფების აღფრთოვანებასა და სიმპათიას იწვევს. **ღრიანკალი** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. დღეს უმართლებთ თეატრის სფეროში მომუშავეებს. მსხვილი შენაძენისგან თავი შეიკავეთ. **მშვილდოსანი** – ახალი საქმე თამამად დაიწყეთ და ბოლომდე მიიყვანეთ. სასიყვარულო ურთიერთობებში ინტუიციას მიენდეთ. **თხის რქა** – საყიდლებზე წასვლა იღბლიანი იქნება. მეგობრები ფინანსურად დაგეხმარებიან. გართობა რეკომენდებულია ზომიერების ფარგლებში. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციებისას სიფრთხილე და თავშეკავება გამოიჩინეთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **თევზები** – თუ გაწყენინეს, შურისძიებაზე არც იფიქროთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სანაოსნოდ გამოსადეგი წყლის სივრცე; 2. იმერეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 3. ხუროთმოძღვრული სტილი შუა საუკუნეების ევროპაში; 4. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 5. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 11. ფრანგული საიუველირო ფირმა; 12. ლითონზე შესრულებული გრავიურა; 14. ტროპიკული, სასოფლო-სამეურნეო, ტექნიკური, ბოჭკოვანი მცენარე; 16. ხმელთაშუა ზღვისპირა საკურორტო ზონა იტალიასა და საფრანგეთში; 17. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 19. ლითონის დაშლა ქიმიური პროცესების შედეგად; 21. მთავარი ქუჩა ტოკიოში; 22. ზღვისპირა კურორტი აჭარაში.

**თარაზულად:** 6. წყლის ტრამვაი ვენეციაში; 7. სითხის, ორთქლის ან ბუნებრივი აირის წნევისა და ხარჯის სარეგულაციო სარქველი; 8. პროფესიონალი გამრთობი ქალი იაპონურ საჩაიეებში; 9. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 10. ცხენებშებმული ტრამვაი; 13. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 15. ამერიკელი ჯაზმენი; 18. შოტლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 20. სქელი მურაბა; 21. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 23. წალკის ძველი სახელწოდება; 24. ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

